პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 143 (26484) — ოთხშაბათი, 21 ივნისი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

ვიცხოვროთ ადამიანთა ინტერესებისათვის, ვიზრუნოთ მათთვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმიდან

სოფლად ეკონომიკური ურთიერთობის გარდაქმნის, ყველა დონეზე აგრარული წარმოების მართვისა და დაგეგმვის სრულყოფის ღონისძიებათა კომპლექსი განსაზღვრეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც 17 ივნისს გაიმართა. განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის მარტის პლენუმის შედეგები და პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელებისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მოხსენებაში, რომელიც წინასწარ დაურიგეს პლენუმის მონაწილეებს, ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გ. გუმბარაძის, სხვა ორატორების გამოსვლებში ღრმად იყო გაანალიზებული რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში შექმნილი ვითარება, გამოავლინეს მიზეზები, კვების უმნიშვნელოვანესი პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგებას რომ ამუხრუჭებენ, დასახეს სოციალისტური საკუთრებისა და მეურნეობრიობის სახეობათა მრავალგვარი ფორმების საფუძველზე მთელი აგროსამრეწველო წარმოების რადიკალური გარდაქმნის გზები. სოფლად საწარმოო საქმიანობის შემდგომ დემოკრატიზაციასთან დაკავშირებული ყველა ეს საკითხი განიხილეს როგორც ორგანული ნაწილი გარდაქმნისა, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში, ესოდენ რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში.

დავუბრუნოთ მიწას პატრონი

რესპუბლიკაში, ითქვა პლენუმზე, დაგვიგროვდა მრავალი გადაუდებელი საკითხი. ისინი ოპერატიულ რეაგირებას მოითხოვენ. მათი გადაწყვეტისათვის პირდაპირი პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე პარტიას ეკისრება. დროა გამოვიდეთ შოკის მდგომარეობიდან, რომელშიც რესპუბლიკა აღმოჩნდა. კონკრეტულად და საგნობრივად მოვკიდოთ ხელი ვითარების ნორმალიზაციას ეკონომიკაში, სოციალურ სფეროში. ამის გარეშე თავს ვერ დავაღწევთ პოლიტიკურ კრიზისს, ვერ მოვიპოვებთ მშრომელთა ნდობას. ადამიანები უნდა დარწმუნდნენ პარტიული ორგანიზაციის გულწრფელობაში, მზადყოფნაში, რომ იჩენს ყოველმხრივ ზრუნვას მათი ყოველდღიური საჭიროებების აუცილებლად გადაწყვეტისათვის.

სასურსათო პრობლემის მოწესრიგებაზე არსებითად არის დამოკიდებული ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე განახლების პროცესების რეალური პოლიტიკური, ეკონომიკური, მორალურ-ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, მთელი გარდაქმნის ავტორიტეტი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკა მთელი ჩვენი პოლიტიკის ქვაკუთხედი ხდება. იგი, როგორც პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის მარტის პლენუმზე მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, ახლა მთელი ჩვენი პოლიტიკური კურსის წამყვანი მიმართულება, რევოლუციური გარდაქმნის ორგანული ნაწილია.

აგრარული ურთიერთობა უნდა იხვეწებოდეს ჩვენი საზოგადოების საერთო თვისებრივი ცვლილებების სულისკვეთებით, ენერგიულად ბრძენდეს გავლენას მასში მიმდინარე ყველა პროცესზე. ამიტომ პარტიის მიერ დასახულ გაბედულ აგრარულ რეფორმათა თანმიმდევრულ, ეფექტიან და საქმის ცოდნით განხორციელებაზე, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების მეცადინეობაზე, კომუნისტებისა და მშრომელების დარაზმულობაზეა უპირველესად დამოკიდებული რესპუბლიკის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტივები.

სასურსათო პრობლემა პოლიტიკური და საერთო-ეროვნული მნიშვნელობისაა, აღინიშნა პლენუმზე. თვით მიწა ხომ ჩვენი მარჩენალია, ჩვენი უპირველესი ეროვნული სიმდიდრეა. მასშია გადგმული ხალხის საუკუნოვანი ფესვები. მას უკავშირდება ბევრი შესანიშნავი ტრადიცია, ჩვენი ცხოვრების წესს რომ ამშვენებს. მიწის აყვავება და ბარაქა უნდა გახდეს თითოეული მოქალაქის მაღალი კეთილშობილური მიზანი. საზოგადოების ჯანსაღი სული, მისი კულტურის დონე ვლინდება არა მარტო წარსულის მატერიალურ და სულიერ კულტურაში, არა მარტო ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ისტორიაში, არამედ არანაკლებ სამართლიანად, შრომის, კერძოდ, მიწათმოქმედების კულტურასა, მის ძირძველ საწყისებსა და ტრადიციებში. ნიშანდობლივია, რომ ძველი ბერძნები საქართველოს მიწათმოქმედთა ქვეყანას უწოდებდნენ.

ავტორიტარულმა პოლიტიკამ და დირექტივულმა ეკონომიკამ თავისი მარწუხებით მიწაზე მეურნეობრიობის მრავალი ისტორიულად ჩამოყალიბებული მეთოდისა და ფორმის დეფორმაცია გამოიწვია. ნაჩქარევად და დაუსაბუთებლად წაართვეს გლეხს თაობათა გამოცდილება. დღეს პარტია პრინციპიულად და კრიტიკულად იაზრებს ამ რთულ პროცესებს და სოფლად საკუთრების ფლობისა და შრომის ორგანიზაციის ფორმების მრავალფეროვნების აღდგენისკენ ისწრაფვის. ამით საშუალება გვაძლევა ორგანულად დავუკავშიროთ ისინი ადგილობრივ ტრადიციებს, ბუნებრივ-კლიმატურ და ეკონომიკურ პირობებს.

ორატორებმა საკმაოდ დაწვრილებით გააანალიზეს სოფლის მეურნეობასა და მთლიანად რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსში შექმნილი ვითარება, ყურადღება გაამახვილეს ყველაზე თვალმისაცემ ორგანიზაციულ-ეკონომიკურ შეუსაბამობებზე, წინაადმდეგობებზე. ხაზგასმით აღინიშნა, რომ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების ამოცანაა შემოქმედებითად მიუდგნენ მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, განახორციელონ ისინი ეკონომიკური რეფორმისა და ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური მოდელის სრულყოფის საერთო კალაპოტით.

სამეურნეო პოლიტიკა, თითოეული რაიონის, თითოეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ინტერესები მხოლოდ ასეთი მიდგომით შეიძლება დაუკავშიროთ ობიექტურ ეკონომიკურ კანონებს, რომელთა მოქმედებას სულ უფრო ფართოდ ითვალისწინებს გარდაქმნის პირობებში მთელი საბჭოთა ეკონომიკა. მეურნეობრიობის მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს საწარმოო ძალების განვითარების დონეს და არ ამუხრუჭებდეს მას ცალკეულ ხელმძღვანელთა სუბიექტური ნებისა და ცირკულარული თვითნებობის გამო.

ავტორიტარიზმმა, ბიუროკრატიულმა ზეცენტრალიზაციამ ფექტობრივად მოსწყვიტა ადამიანები აღმშენებლობის, მიზანდასახულ შრომას და დაუქვეითა მათ ეროვნულ სიკეთეთა შექმნისათვის ეკონომიკური პასუხისმგებლობა. სწორედ ამან წარმოშვა ინდიფერენტულობა, სხვისი მოიმედეობა და ეგოიზმი, ბევრ შემთხვევაში პირადი ინტერესები საერთო-სახალხო ინტერესებზე მაღლა დაიყენა. და ჩვენ ახლა უხვად ვიმკით ყველა ამ გადახრის შედეგებს. მკვეთრად შენელდა წარმოების ეფექტიანობის ზრდის ტემპი, ფართო მასშტაბი მიიღო დოყლაპობამ და სოციალური საკუთრების დატაცებამ. გაფერმკრთალდა შრომის საბოლოო მიზანი.

სოფლის მეურნეობაში დაბანდებული მილიარდობით მანეთი არ იძლევა ჯეროვან უკეთგებას, ქარს მიაქვს ან იმათ ჯიბეში გროვდება, ვისაც ყველაზე ნაკლებად ადარდებს საზოგადოების კეთილდღეობა, მისი ბედიღბალი. მიუხედავად უდიდესი ძალისხმევისა, ხორცის საშუალო სულადობრივი მოხმარება რესპუბლიკაში მხოლოდ 47 კილოგრამს შეადგენს და არსებითად ჩამორჩება რეკომენდებულ ფიზიოლოგიურ ნორმებს. ჩვენში ასევე ნორმაზე ნაკლები მოიხმარება რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი, თევზი და თევზის პროდუქტები, კარტოფილი, მცენარეული ზეთი და ა. შ. — ესე იგი არსებითად კვების ყველა ძირითადი პროდუქტი. ბუნებრივია, ყოველივე ეს გავლენას ახდენს საკოლეგიურო ბაზრის ფასებზე, რაც ეკონომიკაში და, კერძოდ, სოფლის მეურნეობაში შექმნილი რეალური ვითარების სარკეა. ბაზრის კანონები ობიექტურია, და მეტისმეტად დიდ ფასს შეიძლება მხოლოდ იმით ვებრძოლოთ, რომ დღენიადაგ ვადიდებდეთ უმნიშვნელოვანეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებას.

პლენუმის მონაწილენი ერთსულოვანი იყვნენ იმაში, რომ რესპუბლიკის ეკონომიკური სუვერენიტეტი, ეკონომიკური დამოუკიდებლობა კვების პროდუქტებით მაქსიმალური თვითუზრუნველყოფით იწყება. წინაადმდეგ შემთხვევაში სუვერენიტეტიცა და დამოუკიდებლობაც რეალურ შინაარსს მოკლებული მორიგი ფიქცია იქნება. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ რესპუბლიკამ უარი უნდა თქვას თავის როლზე შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში. პირიქით, სწორედ ასეთ უნიკალურ ბუნებრივ-კლიმატურ შესაძლებლობებზე დაფუძნებული სპეციალიზაცია გვაძლევს საშუალებას განვავითაროთ სოფლის მეურნეობის მაღალრენტაბელური დარგები, გავზარდოთ სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების, აღრეული ბოსტნეულისა და სხვა პროდუქტების წარმოება, ეფექტიანად ჩამოვაყალიბოთ რესპუბლიკური ბიუჯეტი. ამასთან მათ სანაცვლოდ ცენტრალიზებული ფონდიდან მივიღოთ მნიშვნელოვანი მოცულობით მთელი რიგი სასურსათო და სხვა საქონელი, სამრეწველო ნედლეული და ა. შ.

ამავე დროს ქვეყანაში შექმნილი რეალური სიტუაცია გვაიძულებს რეზერვები ხორცისა და რძის წარმოებაშიც ვეძიოთ. ასეთი რეზერვები კი საკმაოდ ბევრია დაბლობ და განსაკუთრებით მთის რეგიონებში. ჩვენში სამარცხვინოდ დაბალია მრავალი კულტურის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის დონე. ბევრი მაჩვენებლის მიხედვით ბოლო ადგილზე ვართ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის. საქართველოში სურსათზე მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნა ყველაზე მიახლოებითი გაანგარიშებით არ კმაყოფილდება 300 მილიონზე მეტი მანეთით.

ახლა, მიღებულ დადგენილებათა შესაბამისად საკავშირო ორგანოები დაამტკიცებენ პროდუქციის მხოლოდ იმ ნაწილის შესყიდვის მოცულობას, რომელიც საერთო-საკავშირო ფონდში იგზავნება. მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი ორგანოების პრეროგატივა ხდება შიდარესპუბლიკური სასურსათო მოხმარება. ასეთ პირობებში აუცილებელია ყოველი ღონისძიებით გაეზარდოთ ადგილებზე პასუხისმგებლობა იმისათვის, რათა ჩვენი ხალხის ინიციატივა მოვახმაროთ კვების პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების არსებით გაუმჯობესებას. ყოველნაირად უნდა წავახალისოთ ადამიანები, გავაძლიეროთ კონტროლი და დაინტერესება.

ეს უწინარეს ყოვლისა მიწათსარგებლობას შეეხება, თანაც არა მარტო მიწის სწორად გამოყოფას, ამ საქმეში ყოველგვარი დარღვევის თავიდან აცილებას, არამედ მის ეფექტიან დამუშავებას, ნაყოფიერების გადიდებას, მისი ბარბაროსული ექსპლუატაციის, უყურადღებოდ მიტოვების აღკვეთასაც. აქ განუზომელია თითოეული ჩვენთაგანის პასუხისმგებლობა, რადგან ვერანაირად ვერ ავანაზღაურებთ მიწისათვის მიყენებულ ზიანს.

დღენიადაგ უნდა ვიღვწოდეთ იმისათვის, რომ გავადიდოთ პროდუქციის უკუგება ყოველ ჰექტარ სავარგულზე. ყაირათიანად, მზრუნველობით, ცოცხალ არსებასავით მოვეკიდოთ თითოეულ მინდორსა და ბაღს, ვენახსა და ჩაის პლანტაციას. სწორედ ეს არის პარტიის ახალი აგრარული პოლიტიკის არსი. ასეთი მიდგომა განუყოფელია მთლიანად სოციალიზმზე თანამედროვე წარმოდგენისაგან. უნდა შევიგნოთ, რომ უკვე ამოწურა ძველი მეთოდებით აგროსამრეწველო კომპლექსის ეფექტიანობის გადიდების შესაძლებლობანი. რამდენადმე მნიშვნელოვან შედეგს ვერ მოგვიტანს კოსმეტიკური გაუმჯობესება და ფორმალური რეორგანიზაციები. საჭიროა პრინციპულად ახალი ორგანიზაციულ-ეკონომიკური და სოციალური ბაზა, სოფლად ახალი საწარმოო-ეკონომიკური ურთიერთობის ჩამოყალიბება.

საფუძვლიანად განიხილეს პლენუმზე კომუნისტების, სოფლის მშრომელთა წინაშე დასახული ამოცანები სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციის, აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების სფეროში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აგრარული რეფორმის იმ მხარეებს, რომლებიც ადამიანთან დაკავშირებული რეზერვების უკეთ გამოვლენას შეეხება. მხედველობაშია მწარმოებლის პოტენციალის სრული გამოყენება, გლეხობის სოციალური ინიციატივის შებოჭილობისაგან განთავისუფლება, იჯარისა და საიჯარო ურთიერთობათა განვითარება.

(დასასრული მე-2 გვ.).

ტრადიცია კი დაირღვა...

მაგრამ სამშობლო ხომ მათი გულის ფეთქვაა?!

წლეულსაც მოუთმენლად ელოდნენ ბოლო ზარს მოსწავლეები — იგი ხომ ტკბილმოსაგონარი წლების ერთგვარი აკორდია. მართალია, წინ გამოსაშვები. გამოცდებია, მაგრამ ბოლო ზარი მაინც სასწავლო წლის დასასრულს ნიშნავს.

ტრადიციისამებრ, ბოლო ზარს სარედაქციო წერილს ვუძღვნიდით ხოლმე, ამ მოვლენის ამსახველ სურათთან ერთად, რომელზეც სახეგაბრწყინებული ბედნიერი მოსწავლეები იყვნენ აღბეჭდილი, გარკვეულწილად საყვარელი სკოლის, მასწავლებლების განშორების სევდაც რომ ანჩდათ.

წლეულს ეს ტრადიცია დაირღვა. თბილისში მომხდარმა 9 აპრილის გაუგონარმა ტრაგედიამ ბევრი ზეიმი და სიხარული ვაგვიხანა და გადაგვავიწყა. ამ ჭრილობას რა მოგვიშუშებს — ასე მტკივნეულსა და უნაპიროს.

აპრილის მსხვერპლთა შორის ისინიც იყვნენ — ჭაბუკი და მშვენიერებით გამორჩეული — თამუნა ჭოველიძესა და ნათია ბაშალეიშვილსაც ამ დღეებში უნდა ჩაებარებინთ ბოლო გამოცდა... სკოლას მალე დატოვებენ თამუნასა და ნათიას ნაადრევად დაბრძენებული თანაკლასელები, სხვებიც, მათი თანატოლები, სრულიად საქართველოს ათიათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი, ვის გულზეც, უფროსებთან ერთად, გადაიარა უმძიმესმა 9 აპრილმა.

ბოლო ზარი სკოლასთან გამოსათხოვარია, თორემ... უდანაშაულოდ დაღუპულთა ხსოვნის ღედოზარი, ასე რომ შეაკავშირა ყველა ქართველი, კვლავაც ძალუმად რეკს, რეკს და ყველას დედა საქართველოს ძლიერებისაკენ, მისი აყვავებისაკენ მოუწოდებს!

„სამშობლო ჩემი გულის ფეთქვაა...“ ასეთი იყო პირველი თემა დამამთავრებელი კლასებისათვის გამოსაშვებ გამოცდებზე. ბევრმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა აირჩია იგი. დღეს ხომ გამორჩეულად ძვირს ქართველის გული სამშობლოსათვის. ამიტომაა, რომ ახალგაზრდების უმრავლესობამ სწორედ ეს თემა აირჩია და მათმა გულისთქმამაც ფიცივით გაიელვარა.

უფროსებმაც ამგვარივე სიყვარულთან, გულისხმიერებითა და მოობილებით უნდა მივუგდოთ ყური მათს გულისფეთქვას, მათს ფიქრსა და აზრს. ახლა ხომ ერთმანეთის პატივისცემა და სიყვარული, თანადგომა და, რაც მთავარია, უმაღლესი პროფესიონალიზმის მოპოვებისათვის ღვწა და გარჯა გვმართებს. ახლა ხომ თავდაუზოგავი შრომაა მიზნისაკენ მიმავალი ერთადერთი გზა!

ამ სურათზე აღბეჭდილი ქალიშვილები და ჭაბუკები თბილისის 169-ე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები არიან. თანატოლთა მსგავსად მათაც წინ დიდი გზა უძევთ. მათი ცოდნა, გამოჯე ხელი, როგორც არასდროს, ისე სჭირდება სამშობლოს.

გზა დაგელოცოთ, ჩვენო ახალგაზრდებო, რწმენით, წარმატებით დაგეძლოთ ყველა სიმაღლე — საიმედო, სასახელო საქმეების დასაბამი.

ბელა დურგლიშვილი.

ვარლამ ბენგიშვილის ფოტო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ XV პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად შექმნა სამუშაო ჯგუფი ამხ. გ. გ. გუმბარიძის ხელმძღვანელობით, რომელიც შეიმუშავებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კონცეფციის პროექტს ეროვნული განვითარების დარგში. მასში ფართოდ უნდა აისახოს საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების, ერთა ურთიერთობისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შეივიდნენ რესპუბლიკის საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოინონა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება იმის თაობაზე, რომ შეიქმნას ორი კომისია საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების და რესპუბლიკაში იმიგრაციული პროცესების შესწავლისა და შესაბამისი წინადადებების შემუშავების საკითხებზე.

მოიწონეს აგრეთვე პრეზიდიუმის დადგენილება იმის შესახებ, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რეალური სუვერენიტეტის განხორციელების, საქართველოს სსრ მოქალაქეობის სტატუსის შემოღების, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სსრ კავშირის კანონების მოქმედების პირობების, ეროვნული საფარისო ფორმირებების აღდგენისა და რესპუბლიკის ნვეგამდელთა მიერ სამხედრო სამსახურის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოხდის საკითხები განსახილველად გადაეცეს რესპუბლიკის კონსტიტუციის შემმუშავებელ კომისიას.

აღნიშნულმა კომისიებმა თავიანთი წინადადებები უნდა წარუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიას.

(საქინფორმი).

საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

20 ივნისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გ. გუმბარიძემ მიიღო სსრ კავშირის საგანგებო და სრულფუფლებიანი ელჩები: გვინეა-ბისაუს რესპუბლიკაში — ვ. ვ. ალდოშინი, ნიკარაგუის რესპუბლიკაში — ვ. დ. ნიკოლაენკო, ტუნისის რესპუბლიკაში — ვ. თ. სობჩენკო. ისინი საქართველოში მოგზაურობენ გაცნობის მიზნით.

გულთბილად მიესალმა რა სტუმრებს, გ. გ. გუმბარიძემ თქვა, რომ, თუმცა ჩათი ვიზიტი რესპუბლიკაში მომხდარი სამწუხარო ამბების ფონზე მიმდინარეობს, იგი უეჭველად მოუტანს სარგებლობას მასპინძლებსაც და სტუმრებსაც.

ყველა გადაწყვეტილებას, მათ შორის პოლიტიკურსაც, თქვა მან, უნდა ვიღებდეთ დიალოგის საფუძველზე, ვსწავლობდეთ ოპონენტის პოზიციაში რაციონალურად მარცვლის მოგნებას. ოპონენტის, თავისუფლებისმოყვარეობის, აზრთა პლურალიზმისადმი პატივისცემის გარეშე შეუძლებელია ნამდვილი დისკუსია, რომელიც იბადება ჭეშმარიტება.

საუბარში აღინიშნა, რომ გარდაქმნამ გააღაღა ადამიანები, მათი შეგნება, ინიციატივა, უფრო დინამიკური გახადა საზოგადოებაში მიმდინარე ყველა პროცესი. ამ პირობებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სწორედ აზროვნებისა და მოქმედების დემოკრატიულ წესს, დემოკრატიულ მიდგომებს — ეხება საქმე ეროვნულ საკითხებს თუ ახალ საზოგადოებრივ ფორმირებებთან ურთიერთობას.

ელჩებს გააცნეს ქართველი ხალხის ისტორია და კულტურა, ამ ეტაპზე რესპუბლიკის წინაშე მდგომი პრობლემები ეკონომიკურ სუვერენიტეტზე გადასვლასთან დაკავშირებით. ხაზგასმით აღინიშნა, რომ რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტი გარდაქმნის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

სტუმართა თხოვნით მათ გააცნეს, თუ როგორ მიმდინარეობს ახალ პირობებში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის გარდაქმნა. აღინიშნა, რომ მკვეთრად უნდა გაიზარდოს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მებრძოლურობა, ისინი საქმით უნდა გადაიქცნენ შრომითი კოლექტივების პოლიტიკურ ბირთვად.

მაღლობა გადაიხადეს რა ნაყოფიერი საუბრისათვის, ელჩებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ დიდი ინტერესით ეკვნიან ქართველი ხალხის ცხოვრებას. მათ თანაგრძნობა გამოთქვეს 9 აპრილის ტრაგედიის გამო, წარმატებანი უსურვეს რესპუბლიკის მშრომელებს ახალი ცხოვრების მშენებლობის, ერთიანობის, ყველა პრობლემის გადაჭრის გზაზე.

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი გ. დ. ჯავახიშვილი.

(საქინფორმი).

საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

20 ივნისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გ. გუმბარიძემ მიიღო სსრ კავშირის საგანგებო და სრულფუფლებიანი ელჩები: გვინეა-ბისაუს რესპუბლიკაში — ვ. ვ. ალდოშინი, ნიკარაგუის რესპუბლიკაში — ვ. დ. ნიკოლაენკო, ტუნისის რესპუბლიკაში — ვ. თ. სობჩენკო. ისინი საქართველოში მოგზაურობენ გაცნობის მიზნით.

გულთბილად მიესალმა რა სტუმრებს, გ. გ. გუმბარიძემ თქვა, რომ, თუმცა ჩათი ვიზიტი რესპუბლიკაში მომხდარი სამწუხარო ამბების ფონზე მიმდინარეობს, იგი უეჭველად მოუტანს სარგებლობას მასპინძლებსაც და სტუმრებსაც.

ყველა გადაწყვეტილებას, მათ შორის პოლიტიკურსაც, თქვა მან, უნდა ვიღებდეთ დიალოგის საფუძველზე, ვსწავლობდეთ ოპონენტის პოზიციაში რაციონალურ მარცვლის მოგნებას. ოპონენტის, თავისუფლებისმოყვარეობის, აზრთა პლურალიზმისადმი პატივისცემის გარეშე შეუძლებელია ნამდვილი დისკუსია, რომელიც იბადება ჭეშმარიტება.

საუბარში აღინიშნა, რომ გარდაქმნამ გააღაღა ადამიანები, მათი შეგნება, ინიციატივა, უფრო დინამიკური გახადა საზოგადოებაში მიმდინარე ყველა პროცესი. ამ პირობებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სწორედ აზროვნებისა და მოქმედების დემოკრატიულ წესს, დემოკრატიულ მიდგომებს — ეხება საქმე ეროვნულ საკითხებს თუ ახალ საზოგადოებრივ ფორმირებებთან ურთიერთობას.

ელჩებს გააცნეს ქართველი ხალხის ისტორია და კულტურა, ამ ეტაპზე რესპუბლიკის წინაშე მდგომი პრობლემები ეკონომიკურ სუვერენიტეტზე გადასვლასთან დაკავშირებით. ხაზგასმით აღინიშნა, რომ რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტი გარდაქმნის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

სტუმართა თხოვნით მათ გააცნეს, თუ როგორ მიმდინარეობს ახალ პირობებში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის გარდაქმნა. აღინიშნა, რომ მკვეთრად უნდა გაიზარდოს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მებრძოლურობა, ისინი საქმით უნდა გადაიქცნენ შრომითი კოლექტივების პოლიტიკურ ბირთვად.

მაღლობა გადაიხადეს რა ნაყოფიერი საუბრისათვის, ელჩებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ დიდი ინტერესით ეკვნიან ქართველი ხალხის ცხოვრებას. მათ თანაგრძნობა გამოთქვეს 9 აპრილის ტრაგედიის გამო, წარმატებანი უსურვეს რესპუბლიკის მშრომელებს ახალი ცხოვრების მშენებლობის, ერთიანობის, ყველა პრობლემის გადაჭრის გზაზე.

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი გ. დ. ჯავახიშვილი.

(საქინფორმი).

საუბარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ოთარ ქვილითაიამ მიიღო საფრანგეთის ფირმა „არისის“ პრეზიდენტი შალვა თაყაიშვილი. იგი წარმატებით თანამშრომლობს რესპუბლიკის რამდენიმე საწარმოსთან და ორგანიზაციასთან. ფირმა, რომელსაც იგი სათავეში უდგას, ახორციელებს სერვისს ინფორმატიკის დარგში. შარშან საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან ერთად ფირმამ ჩამოაყალიბა რესპუბლიკაში პირველი საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ერთობლივი საწარმო „არის-თბილისი“, რომელიც საპროგრამო საშუალებების შემუშავებას ეწევა.

ოთარ ქვილითაიამ კმაყოფილება გამოთქვა ფირმა „არისის“ იმ მისწრაფების გამო, რომ გაფართოოს საქმიანი კონტაქტები რესპუბლიკასთან. მან აღნიშნა, რომ ასეთი კავშირურთიერთობა საზღვარგარეთის საწარმოებთან შესაძლებელი გახდა საბჭოთა ეკონომიკაში მიმდინარე რადიკალური რეფორმების პოლიტიკის წყალობით, რომელმაც უფლება მისცა მოკავშირე რესპუბლიკებს დამოუკიდებლად გავიდნენ საგარეო ბაზარზე.

შალვა თაყაიშვილმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს ახალ პირობებში რესპუბლიკის ჰიდრომეტეოროლოგიის (სამმართველოსთან ფირმა „არისის“ ხელშეკრულების ხელმოწერის წინ. იგი ითვალისწინებს დაკვირვების, ჰიდრომეტეოროლოგიური ინფორმაციის დამუშავებისა და გადაცემის და გარემოსადმი კონტროლის ტექნოლოგიური ხაზების შემუშავებას.

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის სამმართველოს უფროსი მურმან არდია. (საქინფორმი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია განაგრძობს მუშაობას

19 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებისა და პალატების მუდმივი კომისიების შემადგენლობაში შესული დეპუტატები პირველად შეიკრიბნენ სესიაზე ჩამოყალიბებული სამუშაო ორგანოების შემადგენლობით.

კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დარბაზებში დილიდან გაიხსნა მეტი წილი კომიტეტებისა და კომისიების სხდომები. დღის წესრიგშია სამუშაო ორგანოების თავმჯდომარეთა მოადგილეებისა და მდივნების არჩევნები, მათი სტატუსის განხილვა, აზრთა გაზიარება უახლოესი მომავლისათვის პრიორიტეტულ ამოცანებზე.

კომეტეტებისა და კომისიების წევრები თავიანთი საქმიანობის დარგების მიხედვით ეცნობოდნენ საბჭოთა მთავრობის შემადგენლობაში დასახელებულ კანდიდატთა ბიოგრაფიებს. დეპუტატებმა რამდენიმე დღის განმავლობაში უნდა შეიმუშაონ დასკვნები ამ კანდიდატურებთან დაკავშირებით და განსახილველად წარუდგინონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომას.

(საკდესი).

ვიზიტად მოსკოვში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის მოწვევით 20 ივნისს მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ირანის ისლამური საბჭოს კრების თავმჯდომარე, ირანის ისლამური რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მოვალეობის შემსრულებელი ალი აქბარ ჰაშემი-რაფსანჯანი.

აეროდრომზე მას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. লুკიანოვი და სხვა ოფიციალური პირები.

ბაზისართა კრემლში ირანელი სტუმრის შეხვედრის ცერემონია. კრემლის დიდი სასახლის გიორგიის დარბაზში ა. ა. ჰაშემი-რაფსანჯანის მიესალმა მ. ს. გორბაჩოვი.

(საკდესი).

მწვავე სიგნალი

ჯართი ყველამ უნდა დაამზადოს

ვაივაგლახით შესრულდა მეორეული შავი ლითონის დამზადების ხუთი თვის გეგმა. ვაივაგლახით იმიტომ, რომ ეს გაკეთდა იმ ორგანიზაციების ხარჯზე, რომლებმაც სახელმწიფოს გთვალისწინებულზე მეტი ლითონი ჩააბარეს. მათ შორის არიან თბილისის პირველი მაისის, ორჯონიკიძის, ოქტომბრის, საბურთალოს, ქუთაისის ავტოსაქარხნო, აგრეთვე ხარაგოულის, გურჯაანის, ლანჩხუთის, საგარეჯოს, სამტრედიის, სენაკის, ზონის, ჩოხატაურის რაიონები, ქალაქები ჭიათურა, რუსთავი, გორი.

ეს კარგია, მაგრამ განა შეიძლება რესპუბლიკური გეგმის შესრულების ბედი მარტო იმაზე იყოს დამოკიდებული, გადააჭარბებს თუ არა ვინმე გეგმას? რა თქმა უნდა, არა. ეს კარგად იციან თბილისის, კალინინის, საქარხნო, გლდანის, ლენინის, ქუთაისის ლენინის, ახალქალაქის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, დუშეთის, ზუგდიდის, კასპის, ლაგოდეხის, ოზურგეთის, მარნეულის, მცხეთის, თელავის, წითელწყაროს, ხობის, წალკის, თეთრი წყაროს რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, რომლებმაც ასობით ტონა ჯართის დამზადება ვერ უზრუნველყვეს. ასევე დიდი რაოდენობის შეორეული ნედლეული დააკლეს მომმხარებლებს აფხაზეთმა, და აჯარამ, სამხრეთ ოსეთმა. უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ამ საქმეს საქაგრომრეწვის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ხუთ თვეში

ვიცხოვროთ ადამიანთა ინტერესებისათვის, ვიზრუნოთ მათთვის

(დასასრული)

იქ, სადაც ახლა იჯარა არაფორმალურად ინერგება, სადაც მან ნამდვილად მისცა საშუალება გლეხს დაბრუნებოდა, ხატვნად რომ ვთქვათ, თავის ფესვებს, მიწას, გამხდარიყო მისი ჭეშმარიტი ბატონ-პატრონი, საკმაოდ კარგ შედეგებსაც აღწევენ. მაგალითად, გორის რაიონის ერთ-ერთი კოლექტივი, რომელსაც სათავეში ა. ღოლიჯაშვილი უდგას, წელიწადში თითქმის 1 მილიონი მანეთის სამი ათას ტონამდე სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას აწარმოებს. ახმეტის რაიონში დ. ელანიძის საიჯარო ბრიგადა, რომელიც სულ 5 კაცისაგან შედგება, აპირებს წლეულს სახელმწიფოს დაანოლოთ 150 ტონა ღორის და 20 ტონა ძროხის ხორცი მიჰყიდოს. ამ ბრიგადის ორი წევრი სხვის დაუხმარებლად 200 ჰექტარ სახნავ-სათეს ფართობს ამუშავებს.

საფუძვლები ეყრება მმართველობის სრულიად ახალ ფორმებს. ისინი მთლიანად გამოხატავენ წარმოებისა და მწარმოებლის ინტერესებს. იმ კოლმეურნეობებში, სადაც მთელი მეურნეობა საიჯარო კოოპერატივების გამგებლობაში გადავიდა, სამმართველო აპარატი 70-80 კაციდან 5-6 კაცამდე შემცირდა.

ბევრი კვალიფიციური სპეციალისტი საკუთარი ინიციატივით უდგება სათავეში 'საიჯარო კოლექტივებს. შრომის ანაზღაურება 2-3-ჯერ და მეტად გაიზარდა. ფერმის ყოველმა მწველავმა კი ახლა დაწვრილებით იცის, რაზე იხარჯება თითოეული კაპიკი, რა ტექნიკა, რა მატერიალურ-ტექნიკური რესურსებია საჭირო. უშუალო მწარმოებელი მგეგმავი, ფინანსისტი, ბუღალტერი, კონტროლიორი ხდება. ისტორიული გარდატეხა მიმდინარეობს სოფლის მშრომელთა აზროვნებაში.

იჯარა არანაზულ თავისუფლებას ანიჭებს მშრომელი კაცის ინიციატივას. შემოქმედებითი ენერგია განმტკიცებულია პირადი პასუხისმგებლობითა და დაინტერესებით. სწორედ ამაში ვლინდება თვალნათლივ ადამიანის ფაქტორის არსი.

ამასთან ანალიზი იმასაც გვიჩვენებს, საარნდო ურთიერთობით მოცვის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლების პირობებში უკუგება ბევრ რაიონსა და მეურნეობაშიც სულაც არ არის ერთნაირი, რაც საეჭვოს ხდის ამ მონაცემების უტყუარობას. ეს ადასტურებს, რომ ბევრგან ფორმალურად ეკიდებიან სასოფლო-სამეურნეო შრომის ორგანიზაციის ახალ ფორმებს. ეს, კაცმა რომ თქვას, მოსალოდნელი იყო კიდეც, რადგან ამაში, ვინც შეეჩვია მხოლოდ ბრძანებებისა და განკარგულებების გაცემას, ხოლო რეალური, კონკრეტული მოქმედებისათვის არ გააჩნია შესაბამისი ჩვევები და კვალიფიკაცია, უჭირთ იპოვონ თავიანთი ადგილი ახალ პირობებში. ამორტიზებული აზროვნების მქონე ხელმძღვანელები სულ უფრო მეტად ეწინააღმდეგებიან იჯარასა და სამეურნეო ანგარიშს, კოოპერაციის განვითარებას. პარტიული ორგანიზაციები მეტ მომთხოვნელობასა და პრინციპულობას უნდა იჩენდნენ პარტიის აგრარული კურსის განხორციელებისათვის. მკაცრი პასუხი უნდა მოეთხოვოთ კოსნერვატორებს, დემაგოგებს, ცოცხალი საქმის ხელშემშლელებს.

საქართველოში ფართოდაა გავრცელებული წვრილკონტურიანი სავარგულები, რომლებიც ხშირად განლაგებულია ციცაბო კალთებზე, ამიტომ წარმოების ორგანიზაციის საიჯარო ფორმები, მათ მოიხმარ სოიჯახო იჯარა ერთ-ერთი მაგისტრალური გზაა იმისა, რომ სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით მთიანი და მთისწინა ზონისა, გამოვიყვანოთ უმძიმესი ფინანსური მდგომარეობიდან, უფრო სრულად ავამოქმედოთ არსებული პოტენციალი.

ამასთან დაკავშირებით ითქვა, რომ ყოველნაირად უნდა წავახალისოთ იჯარით მიწის, პირუტყვის, ფრინველის გადაცემა. ფართო გზა უნდა გავუხსნათ საიჯარო კოოპერატივებს მომსახურე დარგებში. ამასთან მთელი ძალისხმევა საბოლოო შედეგის გაუმჯობესებისა, საჭირო რაოდენობისა და ასორტიმენტის პროდუქციის შექმნას მოვახმაროთ. დაუშვებელია აქ ბიუროკრატიული ბარიერების აღმართვა. მიწა პირველი მოთხოვნისთანავე უნდა გადაეცეთ იმათ, ვისაც უნარი შესწევს უზრუნველყოს მისი სანიშნეო მოვლა, მაქსიმალური უკუგების მიღება.

რეალურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით

საიჯარო ურთიერთობის სრულყოფა, მარტის პლენუმზე შემუშავებული გადაწყვეტილებანი ყველა შესაძლებლობას ქმნის იმისათვის, რომ ფართოდ განვავითაროთ კოოპერაცია საქმიანობის ყველა სფეროში, ავაღორძინოთ. იგი თავდაპირველი ლენინური გაგებით. პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოები ყოველნაირად უნდა ახალისებდნენ ამ პროცესებს. მათი მხარდაჭერა წვრილმანი კონტროლითა და მეურვეობით, მაღალი ფასების გამო აღშფოთებით კი არა, არამედ კოლმეურნეობა ეკონომიკური რესურსებია საჭირო. უშუალო მწარმოებელი მგეგმავი, ფინანსისტი, ბუღალტერი, კონტროლიორი ხდება. ისტორიული გარდატეხა მიმდინარეობს სოფლის მშრომელთა აზროვნებაში.

იჯარა ანანაზულ თავისუფლებას ანიჭებს მშრომელი კაცის ინიციატივას. შემოქმედებითი ენერგია განმტკიცებულია პირადი პასუხისმგებლობითა და დაინტერესებით. სწორედ ამაში ვლინდება თვალნათლივ ადამიანის ფაქტორის არსი.

ამასთან ანალიზი იმასაც გვიჩვენებს, საარნდო ურთიერთობით მოცვის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლების პირობებში ეკონომიკური რაციონალობა და მეურნეობებიც სულაც არ არის ერთნაირი, რაც საეჭვოს ხდის ამ მონაცემების უტყუარობას. ეს ადასტურებს, რომ ბევრგან ფორმალურად ეკიდებიან სასოფლო-სამეურნეო შრომის ორგანიზაციის ახალ ფორმებს. ეს, კაცმა რომ თქვას, მოსალოდნელი იყო კიდეც, რადგან ამაში, ვინც შეეჩვია მხოლოდ ბრძანებებისა და განკარგულებების გაცემას, ხოლო რეალური, კონკრეტული მოქმედებისათვის არ გააჩნია შესაბამისი ჩვევები და კვალიფიკაცია, უჭირთ იპოვონ თავიანთი ადგილი ახალ პირობებში. ამორტიზებული აზროვნების მქონე ხელმძღვანელები სულ უფრო მეტად ეწინააღმდეგებიან იჯარასა და სამეურნეო ანგარიშს, კოოპერაციის განვითარებას. პარტიული ორგანიზაციები მეტ მომთხოვნელობასა და პრინციპულობას უნდა იჩენდნენ პარტიის აგრარული კურსის განხორციელებისათვის. მკაცრი პასუხი უნდა მოეთხოვოთ კოსნერვატორებს, დემაგოგებს, ცოცხალი საქმის ხელშემშლელებს.

საქართველოში ფართოდაა გავრცელებული წვრილკონტურიანი სავარგულები, რომლებიც ხშირად განლაგებულია ციცაბო კალთებზე, ამიტომ წარმოების ორგანიზაციის საიჯარო ფორმები, მათ მოიხმარ სოიჯახო იჯარა ერთ-ერთი მაგისტრალური გზაა იმისა, რომ სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით მთიანი და მთისწინა ზონისა, გამოვიყვანოთ უმძიმესი ფინანსური მდგომარეობიდან, უფრო სრულად ავამოქმედოთ არსებული პოტენციალი.

ამასთან დაკავშირებით ითქვა, რომ ყოველნაირად უნდა წავახალისოთ იჯარით მიწის, პირუტყვის, ფრინველის გადაცემა. ფართო გზა უნდა გავუხსნათ საიჯარო კოოპერატივებს მომსახურე დარგებში. ამასთან მთელი ძალისხმევა საბოლოო შედეგის გაუმჯობესებისა, საჭირო რაოდენობისა და ასორტიმენტის პროდუქციის შექმნას მოვახმაროთ. დაუშვებელია აქ ბიუროკრატიული ბარიერების აღმართვა. მიწა პირველი მოთხოვნისთანავე უნდა გადაეცეთ იმათ, ვისაც უნარი შესწევს უზრუნველყოს მისი სანიშნეო მოვლა, მაქსიმალური უკუგების მიღება.

პასუხისმგებლობა — კოლექტიშრიც, პერსონალურიც

იმ პრობლემებს შორის, რომლებიც ყოველზე მწვავედ დგას დღეს რესპუბლიკის წინაშე, პლენუმის მონაწილეებმა დაასახელეს ქართული სოფლის სოციალური გარდაქმნა და აღორძინება.

სასკოლო და სკოლამდელი დაწესებულებებით, კულტურულ-საგანმანათლებლო დანიშნულების ობიექტებით, სამედიცინო პუნქტებით, სოციალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებებით უზრუნველყოფის დონით ჩვენი სოფელი არსებითად ჩამორჩება დღევანდელობის მოთხოვნებს. ხელმიუწვდომელი და მოუფლელია მრავალი სოფელი, ბევრგან მისასვლელი გზები, საავტობუსო მიმოსვლა, სატელეფონო კავშირიც კი არ [illegible]ს. ბევრი სოფელი ვერ იღებს რადიოგადაცემებს, ტელევიზიის პროგრამებს.

შარშან მარტო სახაგრომრეწვის მისამართით სამი ათასამდე საჩივარი მ[illegible]და სოციალური საკითხების მოუგვარებლობის გამო. მათი უბრალო გაცნობაც კი გვარწმუნებს, თუ რა მძიმე პირობებში ცხოვრობენ და შრომობენ ხშირად სოფლელები, რამდენად მოუწყობელია მათი ყოფა, რამდენი საარსებო პრობლემა რჩება გადაუწყვეტელი.

ამ მხრივ მეტ აქტიურობას უნდა იჩენდნენ სასოფლო საბჭოები, უფრო გაბედულად იბრძოდნენ მომწიფებული საკითხების დაყენებისა და გადაწყვეტისათვის, უფრო ფართად იყენებდნენ საამისოდ დეპუტატთა უფლებამოსილებას. ყოველივე ეს მთლიანად შეეხება რაიონული საბჭოების აღმასკომებსაც. რაღა თქმა უნდა, სოციალური. პრობლემები დღენიადაგ უნდა იყოს პარტიული ორგანიზაციების, სამეურნეო ხელმძღვანელობის თვალთახედვის არეში.

სოფლის სოციალური გარდაქმნის რესპუბლიკური კომპლექსური პროგრამის შემუშავებისათვის პასუხს აგებენ რესპუბლიკის მთავრობა, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სახმომარაგება, აგრომრეწვი, შესაბამისი სამინისტროები, უწყებები და საწარმოები, ითქვა პლენუმზე. ისინი მოვალენი არიან რაც შეიძლება სრულად ითვალისწინებდნენ პრობლემის ყველა ასპექტს. რაც მთავარია, ყველანი უნდა განვიმსჭვალოთ ამ პრობლემების გადაჭრისათვის პატრიოტული სულისკვეთებით. ისე არავინ გვენდობა, არავინ გამოგვყვება, ისე ვერ ავაღორძინებთ ქართულ სოფელს, რწმენას ვერ დავუბრუნებთ მიწის მუშას.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მთის სოფლების პრობლემებს. მათ აქვთ უნიკალური პოტენციალი, მაგრამ ამ პოტენციალის გამოყენება დაკავშირებულია მრავალ სიძნელესთან, უწინარეს ყოვლისა, სპეციალური ტექნიკით აღჭურვასთან. მიუხედავად ამისა, ეს დანახარჯები მთლიანად ანაზღაურდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამჟამად სამთო მიწათმოქმედება თავისი შესაძლებლობის სამჯერ ნაკლებს გვაძლევს. ჩვენი რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი მეიბრეგიონების პირობებში მთის რეგიონების ინტენსიურ სამეურნეო ბრუნვაში აქტიური მოქცევა არსებითად გაზრდის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას.

ამავე დროს მთის სავარგულების მაქსიმალური უკუგებით გამოყენება საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვან გავზარდოთ მოსახლეობის, მეურნეობებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავალი. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც სოციალურ-ეკონომიკური წინსვლისათვის საჭირო კაპიტალურ დაბანდებათა დამატებითს წყაროს.

მთის სოფლების აღორძინებისათვის ამოუწურავი შესაძლებლობებს ქმნის იჯარა. სამთო მიწათმოქმედების პირობებში ხომ უაღრესად საჭიროა მოქნილობა, იღუპა ან დიდად დაზიანდა საადრეო კომბოსტოსა და სხვა ბოსტნეული კულტურების ნათესები. დამაბიდებელი პირი არ უჩანს სიმინდისა და საკვები მცენარეების ნათესებს. მთლიანად რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსში სტიქიური უბედურებით გამოწვეული ზარალი 880 მილიონ მანეთს გადააჭარბებს.

თითოეულმა შეგნებულმა მოქალაქემ, თავისი ქვეყნის პატრიოტმა კარგად, ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა იფიქროს და აწონ-დაწონოს, რა შეიძლება მოპყვეს ასეთ ექსტრემალურ პირობებში ეკონომიკის დესტაბილიზაციას, წარმოების რიტმის მოშლას. ახლა განსაკუთრებით გვჭირდება გონიერება, სიბრძნე, სიღინჯე, სიფხიზლე და წინდახედულება, ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფისა და ფენის კონსოლიდაცია იმ მიზნით, რომ დავძლიოთ არსებული სირთულეები, შევიმუშაოთ მოქმედების ერთიანი პლატფორმა, აღმოვფხვრათ დეფორმაციები ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მტკიცე სოციალურ-ეკონომიკური ბაზის გარეშე ვერც დღეს და ვერც მომავალში ვერ გადაწყვეტთ ვერც ერთ, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან პოლიტიკურ პრობლემას, ეროვნული განვითარების ვერც ერთ სერიოზულ ამოცანას.

ამასთან ყოველი მიზანი, ყოველი იდეალი მხოლოდ და მხოლოდ ობიექტურ შესაძლებლობებს უნდა ემყარებოდეს, რათა ისინი ილუზიად, კეთილ სურვილად, უტოპიად არ დარჩეს. სწორედ ამიტომ მკვეთრად უნდა ავიმაღლოთ პოლიტიკური კულტურა, პროფესიონალიზმი, კომპეტენტურობა.

ეროვნული ურთიერთობანი, ეროვნული ინტერესები

ამრიგად, სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა გადაჭრა საზოგადოებაში სოციალურ-პოლიტიკური დაძაბულობის საერთო შენელებისათვის მუშაობის დიდმნიშვნელოვანი ნაწილია. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საყოფაცხოვრებო პრობლემების მოუწესრიგებლობა და დაუკმაყოფილებლობა, ზუსტად გამოკვეთილი და რეალური პერსპექტივების არქონლობა არ ქმნიდეს სოციალური პროტესტის მძლავრ ტალღას, რომელიც, რაოდენ სავალალოც უნდა იყოს ეს, ზმირად ეხება ეროვნებათშორისი ურთიერთობის სფეროს, იწვევს ეროვნული გრძნობებისა და ემოციების მძაფრ და ძნელად სამართავ გამოვლინებებს.

ამიტომ მწვავე სოციალური დისპროპორციების აღმოსაფხვრელად საჭიროა შეექმნათ საიმედო ეკონომიკური და პოლიტიკური ბაზა, შეიმუშაოთ მოქმედების კონკრეტული პროგრამა. სამწუხაროდ, ასეთი საერთო-ეროვნული პროგრამა, რომელიც შეიძლება საფუძვლად, სტრატეგიულ მიზნად დაედოს რესპუბლიკის სრული ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტის უზრუნველყოფას, ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია.

მეთორმეტე ხუთწლედში საგრძნობლად გაუარესდა ბევრი ეკონომიკური მაჩვენებელი, ამასთან მთელი რიგი ძირითადი პარამეტრების მიხედვით გაიზარდა რესპუბლიკის ჩამორჩენა საშუალო საკავშირო დონისაგან, აღინიშნა პლენუმზე. მიზნობრივი კონცეფციის არარსებობას, ერძოო, ზოგჯერ წვრილმანი სამეურნეო საკითხების გადაწყვეტისადმი გამოდევნებას, რეზერვების ძიებაში დასჯითი პრაქტიკის გამოყენებას მოჰყვა ის, რომ თვალთახედვის მიღმა დარჩა ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი საკითხები.

რესპუბლიკის ეკონომიკურ სუვერენიტეტს შეიძლება მივაღწიოთ და უნდა მივაღწიოთ კიდეც არა მოწოდებებითა და ლოზუნგებით, არამედ ბეჯითი შრომით, ეკონომიკური საქმიანობის ყველდღიური გაუმჯობესებით, ყველგან სრული, რეალური სამეურნეო ანგარიშის დანერგვით. ამასთან საწარმოებს უნდა მივანიჭოთ ქმედითი სამეურნეო-ანგარიშებრივი დამოუკიდებლობა, განვამტკიცოთ საწარმოო, შრომისა და ფინანსური დისციპლინა. უზრუნველყოთ რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსებისადმი, დაგროვილი ეროვნული სიმდიდრისადმი ყაირათიანი, მზრუნველი დამოკიდებულება. სხვაგვარად ვერ შეეძლებთ მოსახლეობის ცხოვრების დონის რეალურ ამაღლებას, ვერ დავაკმაყოფილებთ მის ყოველდღიურ მოთხოვნილებებს.

ეკონომიკური ბაზის მდგომარეობის ძირეული შეცვლის საჭიროებას ისიც მოწმობს, რომ მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნა მნიშვნელოვნად აღემატება არსებული საქონლისა და მომსახურების მოცულობას. იზრდება დისპროპორცია საქონელზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის. ღრმავდება სხვაობა მოსახლეობის შემოსავლისა და გასაგალს შორის. დაუკმაყოფილებელმა მოთხოვნამ თითქმის 3 მილიარდ მანეთს მიაღწია. ფულის მასის ასეთი მოცულობა თავისი ძალით აწვება ბაზარს, ახდენს მის დეზორგანიზაციას, მოითხოვს სასაქონლო დაფარვას, შლის ფულის მიმოქცევის სისტემას. მარტო შარშან ზეგეგმითმა ემისიამ რესპუბლიკაში რამდენიმე ასეული მანეთი შეადგინა. დამაკმაყოფილებლად არ სრულდება რესპუბლიკის საკასო გეგმა მომდინარე წელსაც. ამაში გარკვეულწილად ვლინდება ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების პასიურობა.

პლენუმზე გაიხსენეს, რომ თბილისის საქალაქო კომიტეტში მოქმედებდა ფულის მიმოქცევის მდგომარეობაზე ზემოქმედების სისტემა ქალაქის რაიკომების, რაიაღმასკომების, სამეურნეო ორგანოების, რესპუბლიკური ბანკების მონაწილეობით. ურიგო არ იქნებოდა ამ სისტემის აღდგენა.

საჭიროა რაც შეიძლება მალე ძირეული გარდატეხა შევიტანოთ საქონლით ბაზრის მომარაგებასა და მომსახურების გაფართოებაში, ეფექტიანად გამოვიყენოთ მთელი შესაძლებლობანი. ბრუნვაში უნდა ჩაერთოთ მთელი რესურსები — საცხოვრებელი სახლები, აგარაკები, საბაღე ნაკვეთები, უფრო გაბედულად დავნერგოთ ახალი ურთიერთობანი წარმოებასა და განაწილებაში. საჭიროა მოვახსნათ ყოველგვარი ხელოვნური შეზღუდვა მოსახლეობის ინიციატივას, მათ შორის სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციაშიც, კოოპერაციულ მოძრაობაში, ნებადართული სარეწების განვითარებაში და ა. შ.

ვისწავლოთ მუშაობა დემოკრატიის პირობებში

გარდაქმნის თანამედროვე ეტაპის ეს საკვანძო ფორმულა გაისმოდა მრავალ გამოსვლაში პლენუმზე. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ყველაზე დიდ შეშფოთებას იწვევს პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების ჩამორჩენა რესპუბლიკაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების დინამიზმისაგან. იმაზეც კი გვიხდება ლაპარაკი, რომ კონსერვატიზმის ელემენტები შეინიშნება პარტიული ორგანოების, მათ შორის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა საქმიანობაში, რაც განსაკუთრებით კონტრასტულად მოჩანს განახლების ფონზე.

აღინიშნა, რომ აქ წყალგამყოფი მარტო 9 აპრილის მოვლენები როდი გახდა. პარტიული აქტივის გაწესებულებები, მასისაგან მოწყვეტა, ზოგიერთ შემთხვევაში კი მასთან დაპირისპირებაც დიდი ხანია დაიწყო. ეს უკვე ითქვა ცენტრალური კომიტეტის წინა პლენუმზეც, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში გამართული შეხვედრის დროსაც. მიუხედავად ამისა, პლენუმი კვლავ შეეხო ამ პრობლემებს, რადგან ისევ იგრძნობა მშრომელებთან პარტიული ორგანიზაციების პოლიტიკური დიალოგის, მუშაობის პოლიტიკური მეთოდების შეუფასებლობა.

ზოგიერ შემთხვევაში ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ პარტიული კომიტეტები, მათ შორის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებიც ელიან, როდის ფაცხრება საზოგადოებრივი აქტიურობის ტალღა და ყველაფერი წინანდელი, ჩვეულებრივი ალაპატით წარმართება. ეს დიდი შეცდომაა, რომელსაც შეიძლება კიდევ უფრო საშიში შედეგები მოჰყვეს. ადამიანთა სოციალური აქტიურობა უბედურება კი არ არის, როგორც ზოგს ჰგონია, არამედ სწორედ ის არის, რასაც ესწრაფვოდა პარტია, გარდაქმნას რომ იწყებდა.

უფრო მეტიც, მასების პოლიტიკური გააქტიურების პროცესი, როგორც ეს აპრილის პლენუმზეც ითქვა, უაღრესად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. საზოგადოებრივი აქტიურობის ასპარეზზე გამოდიან ადამიანები, მთელი სოციალური ჯგუფები. ბევრი მათგანი ამ ცოტა ხნის წინათ საკმაოდ შორს იყო პოლიტიკისაგან. ამასთან, ისინი ხვდებიან მოვლენათა ცენტრში, და არ შეგვიძლია არ ვითვალისწინებდეთ ამას. აი, რაზეა არის საჭირო, რომ უკვე დღეს ვიყოთ ხალხის შუაგულში, გავიგოთ მისი განწყობილება, შოვიპოვოთ ნდობა, დავარწმუნოთ ლოგიკის, პარტიულობის ძალით, ავითვისოთ დემოკრატიული აზროვნება. ეს სისუსტის კი არა, ძალის ნიშანია. ეს ლენინური ტრადიციაა. სხვანაირად ვერ აღვადგენთ, ვერ განვამტკიცებთ პარტიულ ორგანიზაციათა ავტორიტეტს.

როცა პარტიული კომიტეტი გარდაქმნის პროცესებს ჩამორჩება, სწორედ მაშინ იქმნება დაძაბულობა. როცა ასეთი დაძაბულობა თავს იჩენს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მრავალ სფეროში, ეს ნიშნავს, რომ ძალიან ბევრი პარტიული კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაცია ჩამორჩება ცხოვრების მოთხოვნებს.

უპირველესი და უმთავრესი, რაშიც პარტიული ორგანიზაციები გადაჭრით უნდა გარდაიქმნან, — ეს არის დიალოგის მოგვარება საზოგადოებასთან. ეს პოლიტიკური, იდეოლოგიური მუშაობაა. რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების კრიზისული, გამწვავების მიზეზებს საფუძვლად ის უძევს, რომ არა გვაქვს აქტიური დიალოგი — გულახდილი, პირდაპირი, ალალმართალი, ესოდენ საჭირო საზოგადოებისათვის, რომელიც დემოკრატიზაციისა და საჯაროობის, პლურალიზმის გზას დაადგა, რომ მთლიანად დაიკარგა ნდობა, ხალხისა და საზოგადოების ნდობა ხელმძღვანელებისადმი, სხვადასხვა სოციალური ფენისა და ჯგუფის ნდობა ერთმანეთისადმი, ნდობა ადამიანებს შორის, რომლებიც ერთ საერთო, სახალხო, საყოველთაო საქმეს აკეთებენ. სწორედ ამან გამოიწვია გაუცხოებისა და იზოლაციის ვითარება, საზოგადოების ფენებად დაყოფა და მრავალ პრინციპულ საკითხზე აზრთა პოლარიზაცია. ჩვენ ერთი ერის, ერთი რესპუბლიკის შვილები, პატრიოტები ვართ და ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ ყველაფერზე — ჩვენი ეკონომიკის, ჩვენი კულტურის, ჩვენი პოლიტიკური სუვერენიტეტის განვითარებაზე, აღნიშნა პლენუმმა.

ნდობის აღსადგენად, დიალოგის გასაგრძელებლად დაგვჭირდება ძნელი და მტკივნეული დასკვნების გამოტანა, საქართველოს სს რესპუბლიკისაგან სახალხო დეპუტატთან შეხვედრაზე მ. ს. გორბაჩოვმა კვლავ გამოხატა თავისი დაინტერესება ბოლომდე გაეკეთებინა 9 აპრილს თბილისში მომხდარ ამბებში, დადგენდეს ამა თუ იმ პირთა მონაწილეობა, თანამდებობისა და მუშაობის ადგილის მიუხედავად დაისაჯოს ყველა ბრალეული.

ამავე დროს, თქვეს ორატორებმა, უკვე ახლა შეიძლება გამოვიტანოთ ზოგიერთი დასკვნა, რომელნიც დაგვჭირდება მომავალ მუშაობაში. უწინარეს ყოვლისა საჭიროა ყოველნაირად აღვუდგეთ წინ საზოგადოებრივი ძალების კონფრონტაციას. არ შეიძლება საზოგადოების ფორმალებად და არაფორმალებად დაყოფა. სხვათა შორის, ორივე ტერმინი ერთნაირად უპატივცემლოდ აღიქმება. საზოგადოება ერთიანი, მთლიანი უნდა იყოს და ერთი საერთო მიზნისკენ უნდა ისწრაფოდეს აზრთა სხვაობის, პოზიციების სხვაობის პატივისცემით და გათვალისწინებით.

ერთი მხრივ, არ შეიძლება დიალოგი ემოციურად, თავშეუკავებლად, რაიმე კონსტრუქციული პლატფორმის გარეშე. მეორე მხრივ, უდავოა ისიც, რომ იგი არ შეიძლება ვაწარმოოთ ისე, რომ ვავლენდეთ მეტისმეტ კატეგორიულობას, სიჯიუტეს, იმას, რომ არ გვსურს შეველოოთ დრომოჭმულ სტერეოტიპებს. და ბოლოს, ყოველ დიალოგს უნდა მოჰყვეს გარკვეული გადაწყვეტილებანი. იგი არ უნდა გადაიქცეს დაუსრულებელ, უნაყოფო და ამიტომ გამაღიზიანებელ ლაპარაკად, როგორც სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე ითქვა, კონსოლიდაცია, გონივრული კომპრომისი, საზოგადოების ყველა შესაძლებლობის ინტეგრაცია იმის ერთადერთი გზაა, რომ თავიდან ავიცილოთ ყოველად გაუმართლებელი ინტელექტუალური და ფიზიკური მსხვერპლი.

უკანასკნელ ხანს გახშირდა რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობის შეხვედრები თბილისისა და რესპუბლიკის სხვა რეგიონების მშრომელთა კოლექტივებთან, მუშათა კლასის, მეცნიერი და შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, ასევე დასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანების აქტივისტებთან. ეს იყო ძალიან საინტერესო, სასარგებლო შეხვედრები [illegible] ერთ ერთულ ცხადყო, თუ რამდენად ღრმად აწუხებს ჩვენს ხალხს, საზოგადოებრიობას, მოსახლეობის ყველა ფენას გარდაქმნის, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის ბედი, რესპუბლიკის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების პრობლემები, ზნეობის საკითხები, რამდენად სოციალურად აქტიური გახდა ჩვენი მუშათა კლასი, ჩვენი სახელოვანი ინტელიგენცია, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, რომლის შემოქმედებითი ენერგია, მართლაც რომ, დაუშრეტელია. ყოველივე ეს დიდად გვახარებს, რადგან დღევანდელი სინამდვილით შობილი ენერგია, აქტიურობა, ინიციატივა, შემოქმედება კონკრეტულ პოზიტიურ საქმეებს, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ერის წინსვლას უნდა მოხმარდეს.

დღეს სწორედ იდეოლოგიის მეშვეობით გამოხატავენ ადამიანები თავიანთ დამოკიდებულებას რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემებისადმი, ეკოლოგიის, დემოგრაფიის, ისტორიის, ეროვნებათშორისი ურთიერთობის საკითხებისადმი. ამიტომ ყოველი პარტიული კომიტეტი, მისი ყოველი ქვეგანყოფა უნდა ეუფლებოდეს იდეოლოგიური და პოლიტიკური მუშაობის თანამედროვე, დღევანდელი ცხოვრებით ნაკარნახევ ხერხებს. ეს კი ნიშნავს, რომ პარტიული კომიტეტის ყოველი მდივანი მეთაურობდეს ამ სფეროს, რათა დაუბრუნოს მას ჩვეული ადგილი მთელ პარტიულ საქმიანობაში.

გარდაქმნამ დიდად გააფართოვა ეროვნული გრძნობებისა და ინტერესების გამოვლინების ფარგლები და ფორმები. დროა, ხაზგასმით აღინიშნა პლენუმზე, იდეოლოგიური არსენალიდან ამოვიღოთ ბევრი დრომოჭმული სტერეოტიპი. ახლახან რესპუბლიკაში, პირველად ლენინის პერიოდის შემდეგ, აღინიშნა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე. იწყება შუშაობა ჩვენი ახლო ისტორიის, განსაკუთრებით 1918-1921 წლების პერიოდის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენისა და თარიღის შესასწავლად. ობიექტური ისტორიული შეფასება უნდა მივცეთ ვ. ი. ლენინის მიერ მოწონებული საქართველოს და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წელს დადებული ხელშეკრულების დარღვევას, მიუკერძოებლად განვიხილოთ ამ ხელშეკრულების ფუძემდებელი პრინციპები, აღვადგინოთ ამ წინააღმდეგობრივი ეპოქის ცნობილ მოღვაწეთა უტყუარი პოლიტიკური პორტრეტები.

ხაზი გაუსვეს რა ეროვნებათშორის სფეროში მიმდინარე ყველა პროცესის მუდმივი მეცნიერული გაზრდის აუცილებლობას, ორატორებმა აღნიშნეს, თუ რაოდენ საჭიროა სრულყოფთ საკადრო პოლიტიკა, დავძლიოთ გარკვეული მიკერძოება და კონსერვატიზმი, დავადგეთ პოლიტიკური აზროვნების ახალ დონეზე.

ყოველივე ეს უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების მომავალი არჩევნებისათვის მზადების პერიოდში, რესპუბლიკური პარტიორგანიზაცია არჩევნებს უნდა შეხვდეს ეროვნული განვითარების კონსტრუქციული მიზნობრივი კონცეფციით, ამასთან უზრუნველყოს შეხედულებათა სრული ერთობა ისეთ ძირეულ საკითხებზე, როგორიც არის რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის განმტკიცება, ახალგაზრდული მოძრაობის განვითარება, სამეურნეო ორგანიზმში ახალი საწარმოო ურთიერთობის დანერგვა, საკუთრების მრავალნაირი ფორმების დამკვიდრება და ა. შ.

საჭიროა ღრმად გავიაზროთ მიდგომა რესპუბლიკის კონსტიტუციის შინაარსისადმი. აუცილებელია გაკითვალისწინოთ, რომ მასში ბევრი ცვლილება იქნება შესატანი, რათა უზრუნველყოთ სახელმწიფო ხელისუფლების ახალ ორგანოთა სრული ფუნქციონირება, მივაღწიოთ ცენტრთან ურთიერთობის ჰარმონიზაციას, რესპუბლიკის რეალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სუვერენიტეტთან მის სწორ შეხამებას. წინასაარჩევნო პლატფორმამ უნდა უზრუნველყოს ეროვნებათშორისი ინტერესების ბალანსი, მათი შერწყმა მკვიდრი ერის ინტერესებთან. უაღრესად საჭიროა ეროვნებათაშორისი ურთიერთობის პრობლემებზე მუშაობდნენ კომპეტენტური, ცნობილი სპეციალისტები, რომლებმაც ხალხში დიდი ნდობა, პატივისცემა და ავტორიტეტი მოიპოვეს.

საერთო პოზიციის შემუშავებისა და კონსოლიდაციისათვის საჭიროა მოვაწყოთ მეცნიერების, სპეციალისტების, საზოგადოებრივი მოძრაობების, სხვადასხვა სოციალური და ეროვნული ჯგუფის წარმომადგენლების, პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაკების შეხვედრა-დიალოგები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა უნდა შეიმუშაონ თავიანთი წინადადებანი ეროვნებათშორისი ურთიერთობების კონცეფციების შესახებ. ამასთან აუცილებელია გავითვალისწინოთ მრავალსაუკუნოვანი ისტორიული გამოცდილება, რომელმაც დაამტკიცა, რომ ქართველი ხალხის, ისევე როგორც ნებისმიერი ერის, ძალა მუდამ იყო მეგობრობისა და ძმობის იდეების ერთგულება.

რესპუბლიკაში ყველა შესაძლებლობაა იმისათვის, რომ ურთიერთშეთანხმებითა და პატივისცემით გადავჭრათ ყველა ეროვნებათშორისი პრობლემა. ეს ეხება ყველა ხალხს, მათ შორის აფხაზებსაც, ოსებსაც, რომლებ

„ბუნებამ“, რაც უნდა სიმდიდრე მორთოს რომელიმე მხარე, ... ქვეყანა, რაც უნდა მრთელი ... მისცეს ადამიანს საცხოვრ... და ნაყოფიერი მიწა საზ... ...ებისათვის, მაინდამაინც ... ...ითილდღერობა სხვა ... ...რითაც ხელის შეწყობა დამ... ...ა. კაცს მაგალითად ვერა შვ... ...ის თუმცა ვერც სიკეთე ჰაერ... ...ვერც სიმსუქნე მიწისა, თუკი ... ...ბის შორის კეთილად დადგენ... ...ი და ცხადად განსაზღვრული ... არის ურთიერთშორისი უფ... ...ება და მოვალეობა“, — ამბობ... ...და დიდი ილია.

...თითქოს ჩვენს თავზე დამტყდ... ...ი უბედურებას აანალიზებსო, ...ერად ის დალოკავილი: „თუ ... ...საზოგადოებას ჩაუკვირდებით, ...ვენშნავთ ერთს არასასიამოვნო ... ...ერებას, რომელიც ხელს ... ...ზლის ერთის და მეორის წარმა... ...ებასაც — საზოგადოებას არ ... ...ოუწენია ნამდვილი გზა, რომ... ...ითაც უნდა მსვლელობდეს ... ...ბრი და გონება, სამართლიანად ... ...ერ დაგვიფასებია, ვერ გამოგვი... ...ლევია ჩვენი ყოფა-ცხოვრება... ...ერ შეეთანხმებულიყოთ და ... ...ერ აღმოგვიჩენია ის ცენტრალ... ...ური წერტილი, სადაც გადასა... ...ულია ცხოვრების სხვადასხვა ... ...ამდინარეობა. ვერ დაგვიდგენია ... ...მართლიანი კრიტიკული აზრი ... ...ი ცხოვრების შესახებ. ეს ... ...ოება გვიჩვენებს ჩვენი გო... ...ბა, გაუფრთხილებლობას, ჩვენს ... ...ეფრთხილებლობას და დაუკვი... ...ებლობას. აი, აქ არის უმთავრ... ...ესი მიზეზი იმისა, რომ ყოველი ... ...ითილი საზოგადო საქმე ჩვენში ... ...ერთობ ნელი ნაბიჯით მიდის წინ... ...ანა ესე შესაძლებელი იქნებოდა, ...ო რომ ჩვენ შეჩვეულნი ვიყვნეთ ... ...საქართველოს მსჯელობას და ყო... ...ველსავე საქმის რიგიანად დაფასე... ...ბას და აწონ-დაწონვას?“

...ისტორია ხალხისა არის ადამი... ...ანთა სოციალურად მიზანდასახუ... ...ული მოქმედების ისტორია. ცხო... ...ერება ყოველთვის ითხოვდა და ... ...ითხოვს თითოეულისაგან შემოქ... ...მედებით აზროვნებასა და საზო... ...გადოებრივ საქმიანობაში თოსა... ...ობის უნარს. მთავარი ძალა კი, ...რომელიც ამ ასპექტით წარმართ... ...ავს მოქმედებას, არის ცოდნა, ...რადგან მხოლოდ და მხოლოდ ... ...მაღალი პროფესიონალიზმის ბაზ... ...აზეა შესაძლებელი პროგრესული ... ...სოციალური და პოლიტიკური ... ...აზროვნება. ბოლო ხანებში განსაკ... ...უთრებით გაიზარდა ინტერესი ... ...მოქმედების პრობლემის მიმართ. ... ...ხაზგასმა იმისა, რომ საჭიროა ... ...ყველამ, ყოველთვის და ყველგან ... ...საკუთარი პასუხისმგებლობით მი... ...იღოს გადაწყვეტილება, მოგვი... ...წოდებს იმისაკენ, რომ აუცილე... ...ბელია შევიმუშაოთ ფილოსოფი... ...ურად გააზრებული მეცნიერული ... ...მსოფლმხედველობა, რათა უდი... ...დესი სიფრთხილით შეეგებოთ ... ...არსებული ვითარება და არავითარ ... ...შემთხვევაში არ ჩავებათ ბრძოლ... ...მოქმედებაში.

...დღევანდელი რთული და წინა... ...აღმდეგობრივი სამყარო განსაკუ... ...თრებით ავალდებულებს ადამიანს ... ...გაზრებულად, საზოგადოებრივი ... ...ინტერესების მაქსიმალური გთა... ...ვალისწინებით წარმართოს საკუ... ...თარი მოქმედება. განსხვავებულ ... ...ოა სიმრავლე, რაც, ბუნებრ... ...ივია, უნდა მოპყოლოდა და მოპ... ...ყვა კიდეც დემოკრატიზაციას, ...ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ... ...მოითხოვს საფუძვლიან არგუმენ... ...ტაციას, მეცნიერულ ანალიზს და ... ...სოციალურ შეფასებას. აშკარაა, ...რომ მხოლოდ თეორიულად გააზ... ...რებული, საფუძვლიანად არგუმენ... ...ტირებული კრიტიკული აზრი ... ...მოგვცემს საშუალებას საქმით ვე... ...ბრძოლოთ ფორმალიზმს, გამო... ...ვაჟკაცობა ბიუროკრატიის არა... ...კომპეტენტურობა და აღვაკვეთოთ ... ...ის დარღვევები ეკონომიკაში, რაც ... ...ყველას საშინლად გვაღიზიანებს.

...ასეთი გზით მუშაობა ახალია ... ...ჩვენთვის და თანაც ძნელი. მდგო... ...მარეობა განსაკუთრებით რთულ... ...დება მაშინ, როდესაც საქმეში ვე... ...ჯახებით დაბალი კვალიფიკაციის ... ...ხელმძღვანელ მუშაკებს, რომელ... ...თაც არც შეუძლიათ და არც ... ...სურთ გაიაზრონ სიახლე. დღევან... ...დელ რთულ ვითარებაში ნებაყო... ...ფილი სწორი სამოქმედო პოზიც... ...ის შემუშავება თითოეულისაგან ... ...საკუთარ თავზე უდიდეს მუშა... ...ობასა და ენერგიის უდიდეს ხარჯვას ... ...მოითხოვს. „მიტომაა, რომ ბევრს ... ...აღარ შეუძლია ამის შემდეგ ებ... ...რძოლოს აგრეთვე ხელმძღვანელ... ...ობის არაკომპეტენტურობასა და ... ...დოგმატიზმსაც. უფროსი თაობ... ...ის წარმომადგენლები შეეგეჩვეთ ... ...ასეთ დროს, ზმირად ფარხმალი ... ...დაგყოროთ, ახალგაზრდას კი უპ... ...ირს შეეგუოს უსამართლობას.

დღეს, გარდაქმნის პირობებში ... ...ყველაზე მეტი უურადღება ეთმ... ...ობა ქვეყნის შემოქმედებითი პო... ...ტენციალის ეფექტიან გამოყენე... ...ბას, ამიტომ პირველ რიგში საჭი... ...რო გადაილახოს ტრადიციულად ... ...ფესვგადგმული სოციალური პასი... ...ურობა. აშკარაა, რომ ასეთ ვითა... ...არებაში, ინდივიდის თავისუფალ... ...ი განვითარება საზოგადოების ... ...მთავარი რესურსია. მაგრამ იმი... ...სათვის, რომ ადამიანმა არა ... ...მხოლოდ სწორად იაზროვნოს, ...არამედ სწორად იმოქმედოს კი... ...დეც, მას სჭირდება ძლიერი ... ...პროფესიონალური, პოლიტიკური ... ...და სოციალური მზადყოფნა. ... ...ეს, თუ რა როლს შეასრულებს ... ...შემოქმედებითი აზრი კაცობრი... ...ობის განვითარებაში, შეიტანს ის ... ...ადამიანის ცხოვრებაში ბედნიერ... ...ებას თუ უბედურებას, დამოკიდე... ...ბულია ძირითადად იმაზე, თუ ... ...რაოდენ განიერსულად იქნება ამ ... ...დროს გააზრებული ფაქტები, რამ... ...დენად იქნება გთვალისწინებუ... ...ლი მასში კაცობრიობის დღევან... ...დელი და ხვალინდელი ინტერესე... ...ბი, როგორ შეგვაძლებინებს ეს ... ...აზრი მომავლის გააზრებაში ... ...ივრულ ორიენტაციას. „ეხლანდე... ...ლი დრო ისეთია, რომ თუ კაცი ... ...თვითონ არ არის, თვითონ არა ... ...ჰშვილის თავის თავს, თვითონ არ ... ...ირჯება თავის სიკეთესა და ბედნი... ...ერებისათვის და თავის საკუთარ ... ...მხნეობის გარეთ ეძიებს სახსარს ... ...ცხოვრების ავკარგიანობის გასა... ...ძღოლად, — ამისთანა კაცი გადა... ...დებულია უფრო სასიკეთოლდ, ...ვიდრე სასიკეთლდ“, — შეგ... ...ვაგონებს ილია.

ჩვენი დროც ხომ ისეთია, რომ ... ...მხოლოდ თითოეულის კრიტიკ... ...ული, რაციონალური აზროვნება ... ...მოგვცემს საშუალებას სწორად ... ...დავინახოთ სინამდვილე, ობიექ... ...ტურად შეავფასოთ აწმყო და გა... ...ვიაზროთ მომავალი. უნდა გვაზს... ...ოვდეს, რომ ყოველ ცალკეულ ... ...შემთხვევაში ჩვენი მოქმედების ... ...ეფექტიანობა დამოკიდებულია ... ...იმაზე, თუ რამდენად კარგად ... ...ვიცნობთ ფაქტებს და რაოდენი სი... ...სრულით გვაქვს გააზრებული მათ ... ...მიღმა არსებული კანონზომიერე... ...ბა.

დღეს, ისე როგორც არასდროს, ...აუცილებელია გამომეღვაღდეს ... ...საზოგადოების ყოველი წევრის ... ...უნარი, შესაძლებლობა და ძირი... ...თად ძალად შეიტრას იგი ერთი ... ...მიზნისათვის — ეფექტიანად განხ... ...ორციელდეს საზოგადოებრივი ... ...პროგრესი. საჭიროა თითოეულმა ... ...გონივრულად გააანალიზოს არ... ...სებული სოციალური ვითარება, ...გაერკვეს ძირითად ტენდენციებ... ...ში, მოახერხოს საკუთარი მოქმე... ...დების შეფასება საერთო პროგრ... ...ესის ფონზე, იგრძნოს თავი სა... ...ერთო განვითარების ნაწილად, ...მონაწილეობა მიიღოს ცხოვრებაში ... ...მიმდინარე პროცესთა მართვაში. ... ...აშკარაა, რომ ასეთი პირობებში ... ...მეცნიერული მსოფლმხედველობა ... ...არის ის მთავარი და ერთადერ... ...თი საფუძველი, რომელიც საშუ... ...ალებას მისცემს ადამიანს დაინახ... ...ოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ... ...არსებული პრობლემები, დააყენ... ...ოს გონება გრძნობებზე მაღლა ... ...და ოპერატიულად იპოვოს წარ... ...მოქმნილ სიძნელეთა დაძლევის ... ...გზები.

მხოლოდ პროფესიონალური და ... ...ფილოსოფიური აზროვნების მა... ...ღალი კულტურა მოგვცემს საშუ... ...ალებას ობიექტურად შეავფასოთ ... ...რეალობა, სწორი წარმოდგენა შე... ...ვიქმნათ ცხოვრებაზე. დოგმატ... ...ზმი უდიდესი საფრთხეა საზო... ...გადოებისათვის, აკი წერდა კი... ...დეც ილია: „უმეცრობა და უვი... ...ცობა დიდი ჭირია და თუ ამას ... ...თან დაჰყვა უჭკუობა და უნენჭო... ...ბა, ხომ ჭირზე უფრო ჭირია. ... ...ჭკვიანი უცოდინარი — რაც ... ...არ იცის იმაზე სჯასა და ლაპა... ...რაკს ეჩიდება, შეტიჩრობას ... ...ჰკადრულობს, დუმილს ჰჩჩემ... ...ობს, სხვას უსმენს, სმენილს თავ... ...ისას ჭკუის და გონების თვალწ... ...ინ განკითხვით გაიტარებს, ასწ... ...ონ-დასწონის და ამნაირად თავისს ... ...საკუთარს აზრს, ცოდნას გამოი... ...ნასკვავს, შეითვისებს... იგი ჯერ ... ...საგანს ისწავლის, გაითვალისწინ... ...ებს და მერე დაიწყებს სჯასა და ... ...საუბარს. სულ სხვაა უჭკუო უმ... ...ეცარი, მერე თუ უბედობის საღ... ...ერელიც აქვს აშლილი. უჭკუო ... ...უმეცრის კაცისთანა თამამი და ... ...კადნიერი ლაპარაკი და სჯაში ... ...ძნელად მოიპოვება ქვეყნიერო... ...ბაზე“. მართლაც და ყოველთვის ... ...საშინი იყო და დღესაც ასევე სა... ...შინაა მეცნიერულად გაუაზრე... ...ბელი და საფუძვლიან არგუმენ... ...ტირებას მოკლებული სოციალუ... ...რი აზრი. ამ გზით წარმართულ ... ...მოქმედებას შესაძლოა სამწუხარო ... ...და გაუთვალისწინებელი შედეგე... ...ბი მოჰყვეს.

სოციალურ ვითარებაში რაც... ...ონალურის ხედვის უნარი ადა... ...მიანის თანდაყოლილ თვისებას ... ...არ წარმოადგენს, იგი აღზრდასა ... ...და განვითარებას საჭიროებს. აქ... ...ტიურობა სოციალურ ასპექტში ... ...დიდ პასუხისმგებლობასთანაა და... ...კავშირებული, რადგანაც არაკო... ...მპეტენტურობის შემთხვევაში ... ...ამან შეიძლება წინააღმდეგობები ... ...შექმნას პროგრესის გზაზე და ... ...დაბნეოს საზოგადოება. საჭი... ...როა, რომ ყველამ კარგად გაია... ...ზროს თავისი მოქმედების შედ... ...ეგები. აუცილებელია სოციალური ... ...შემეცნება ყოველთვის ღრმა ... ...ფილოსოფიურ ანალიზზე დაფუძ... ...ნებული, ობიექტური, ...ეფექტიანი, ...ეფექტიანი ... ...ეფექტიანი ... ...ეფექტიანი

გ ა ნ ა ე ს ტ ვ ი რ თ ი ა?!

მიტოვებული მშობლები გვწერენ

სულ მალე დაიწყო ჩემი უბედურება. აღარც ერთ შვილს აღარ ვუნდოდი, ბინები მიიღეს, მე ამომწერეს და უსახლკაროდ დამტოვეს. ხან ერთს მივადგებოდი კარზე, ხან მეორეს — იმასთან წადი, იმას უფრო მეტი დაახარჯეო, იმთზე უფრო მეტი ამაგი გაქვსო, ასე ერთმანეთზე მითითებდნენ. 30 მანეთი პენსია მაქვს და იმასაც არ მაძლევენ. სამამულო ომისდროინდელმა ჭრილობებმაც გამიხსენა, მხედველობაც დამაკლდა. ბოლოს დამაწვინეს საავადმყოფოში, აქ სულ იმას მეუბნებიან, არა ხარ ჩვენი ავადმყოფიო. თურმე ნუ იტყვით ფსიქიატრიულში ვყოფილვარ. აქ რატომ მიმიღეს პანსიონატი, თუ საავადმყოფო? საოცარია, ჩემსავით აქ ბევრი წევს უკანონოდ და უდანაშაულოდ დატანჯული. იმედია განიხილავთ ჩემს განცხადებას".

ჩვენ კი განვიხილავთ, მაგრამ შენ რა გეშველება მოხუცო, რატომ მისამართს არ გვწერ? იქნებ ვინმემ იცოდეს ამ კაცის ასავალ-დასავალი, მოგვეცით საშუალება დავეხმაროთ.

გვარს არ გვწერს, ისევ შვილებს უფრთხილდება, ერთ დროს ყველასათვის „ხელსაყრელი" მოხუცი მამა შვილებმა, ცალ-ცალკე კეთილმოწყობილ ბინებში რომ ცხოვრობენ, ქუჩაში გამოაგდეს.

„კარგი შვილები მყავს, ყველას თავისი ოჯახი აქვს, უფროსი მეცნიერია, მეცნიერებათა დოქტორი, რატომ შევაწუხო, რატომ ჩავრეო, უმცროსმა სახლიდან გამომაგდო, ჩემს ცოლს შენი შემოხედვა აღიზიანებსო,— გვწერს ერთი მანდილოსანი. — იქნებ დამეხმაროთ წილი მომცენ; უსახლკაროდ როდემდე ვიყო, შევაწუხე ნათესავები, ხან სად ვათევ ღამეს და ხან სად, სამადლოდ ლუკმაპურსაც მაჭმევენ".

შევეცადე გამეგო ბატონი პროფესორისაგან, იცოდა თუ არა, რომ მისი შობელი დედა ქუჩაში დარჩა. და საერთოდ, მატერიალურად ეხმარებოდა თუ არა მას.

პროფესორმა მოკლედ და ცივად მიპასუხა.

— თვითონაც დამნაშავეა, იცხოვროს იქ, სადაც ჩაწერილია, თუ არა და მიმართოს სასამართლოს. რაც შეეხება ალიმენტს, რასაც სასამართლო დამაკისრებს, იმდენს გადავიხდი და ყურმილი დამიკიდა.

ადამიანებო, რა გემართებათ? თავს უფლებას მივცემ და ანალოგიურ სიტუაციას შეგახსენებთ. ამბობენ, წინათ, პროფესორს ან დოცენტს დედის მისამართით ასეთი რამ რომ წამოედენოდა, არც ერთი კოლეგა არ მიესალმებოდა და სტუდენტები საერთოდ არ დაესწრებოდნენ მის ლექციებსო.

დღეს რატომ არ ითვლება უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი ელემენტარული წესიერების და სათნოების გარანტიად?

ახლა, საჯაროობის და დემოკრატიზაციის დროს, ძალიან ბევრ რამეზე კამბობთ უარს. ვთავისუფლდებით დოგმის მოსობისაგან, დაბნეულობისაგან, მაგრამ გარდაქმნის „რევოლუციური ხომალდიდან" გზადაგზა ხომ არ ვყრით იმ „ძველებურ", აუცილებელ ნივთებს, ურომლისოდაც ჩვენ ახალ ცხოვრებას არავითარი აზრი არ ექნება— სიყვარულს, სიკეთეს, გაჭირვებულისადმი გულმოწყალებას?

ჩვენში ხომ, სამწუხაროდ, სინდისის, ღირსების უქონლობისათვის, სიტყვის გატეხვისათვის, ახლობლის მოტყუებისათვის კანონით არ ისჯებიან.

გვესმის, ერთად ცხოვრების დროს მოხუცი ადამიანები ზოგჯერ ჭირვეული ხდებიან, ახალგაზრდები კი ძალიან დატვირთულები არიან, მაგრამ ეს რიდი გვათავისუფლებს მოვალეობისაგან. ჩვენს შეგნებაში აქსიომად უნდა იქცეს სიბერისადმი პატივცემული დამოკიდებულება — ჩვენი რეალური გამოცდა, მაგრამ განა ბევრი ახარებს ამ გამოცდას?

ვიყოთ გულწრფელნი და გავიხსენოთ: როცა თეატრში ან სამსახურში გვაგვიანდება, მოვქრიალთ მეტროში და სულაც არ გვაღელვებს საცოდავი მოხუცის ბედი, რომელიც მიწისქვეშა გადასასვლელში ჩუმად მიყუჟული, გამოუწვდია ხელი, ზემოთაც არ იხედება, რცხვენია, მაგრამ სხვა გზა არა აქვს. ის უკვე შეეჩვია საზოგადოების გულგრილობას და უკვე აღარ ელის ჩვენს დახმარებას.

როგორ მივედით აქამდე?

„10 შვილის დედას არავინ დაივიწყებს, როგორც არ უნდა შეიცვალოს ეპოქა, — გვწერს (სტილი დაცულია) ხარაგოულიდან მოგვედავონ. ეს ბუნებრივია, კარგი დამოკიდებულება უნდა იყოს და ამიტომაც არავინ წერსო, მაგრამ, სამწუხაროდ, მომრავლდა ჩვენს საზოგადოებაში ფაქტები, როცა შეიძლება მოატყუო, სახლიდან გაგაგდო, არ უპატრონო მშობელს.

ამ წერილს რეზოლუცია არ ედო. მე თვითონ უნდა გადამეწყვიტა, როგორ მოვქცეულიყავი, ავტორი არაფერს ითხოვდა, არც არავის უჩიოდა, არც ვინმეს ერჩოდა, იმასაც არ გვთხოვდა, მირჩიეთ როგორ მოვიქცეო, უბრალოდ გვიამბობდა თავის ამბავს, იმდენი ნაღველი და სევდა გამოსჭვიოდა ამ მონაყოლში, რომ არ შეიძლებოდა გულგრილი დავრჩენილიყავით.

„...ჩემი დიდი ბედნიერება ყოველთვის ოჯახი იყო. მჭონდა შვენიერი სამსახური, ჯანმთელი ვიყავი და ახალგაზრდა. გარდამეცვალა მეუღლე. ქალიშვილი თავის ოჯახთან ერთად ჩემგან შორს, ქალაქის მეორე ბოლოში ცხოვრობს. ჩემთან მხოლოდ შაბათობით მოდის. შეიძლება ითქვას, შაბათი მისთვის ჯოჯოხეთადაა ქცეული: დილიდან საღამომდე კატორღულად შრომობს. რცხვავს და ხეხავს, თუ რაიმე კაცის საქმეა გასაკეთებელი, ის აკეთებს, სადილს მიმზადებს, ერთი წუთით მოცლა არა აქვს, ხან გულიანად ვერც კი მომიკითხავს, პირდაპირ სამზარეულოში შედის. ფიზიკური შრომა აღარ შემიძლია, ხერხემალი მტკივა, გულიც არა მაქვს ჯანმრთელი. დიდი მადლობელი ვარ ჩემი ქალიშვილის, მაგრამ არის მედლის მეორე მხარე. ყველაზე დიდი უბედურებაა ჩემთვის ის, რომ ქალიშვილს საკუთარ სახლში სულ მიეჩქარება.ისეთი გაღიზიანებულია, ხმის ამოღების მეშინია. მე დამნაშავედ ვგრძნობ თავს, ასე რომ იღლება. ისე მიდის გულიანად არ დამელაპარაკება. მე კვლავ მარტო ვრჩები ჩემს ფიქრებთან, ვგრძნობ არავის ვუნდივარ. მე კი როგორ მჭირდება შვილის სითბო. თავისთან არ შეუძლია გადამიყვანოს, ფართობი არ ჰყოფნის, ჩემთან კი არ უნდათ გადმოსვლა. აი, ასე ვცხოვრობ მარტობაში, ისე ვგრძნობ თავს, თითქოს ცივ ქვესკნელში ვიყო".

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქალიშვილი თითქოს პირნათლად იხდის მოვალეობას მშობლის წინაშე, უყურადღებოდ არ ტოვებს, მაგრამ განა ეს საკმარისია?

ერთი მწერალი წერდა: მარტობა ავადმყოფობასავით არის, მას მხოლოდ სიყვარული კურნავს.

ვერც უსიყვარულობას დავწამებთ ამ ქალიშვილს, ალბათ, ჩვენმა ასეთმა ცხოვრებამ, სულ რომ გვეჩქარება, სულ რომ ვერ ვასწრებთ, დრო არ გვყოფნის, საზრუნავი მოგვიმრავლდა, გამოიწვია ის, რომ ხშირად ერთ ჭერქვეშ მყოფნიც ვეღარ ვიცლით ერთმანეთისათვის. ზოგჯერ იმდენი რამე გაწევს მხრებზე, გეჩვენება უფლება გაქვს მოიხსნა პასუხისმგებლობა და კიდევ უფრო მეტი, იძულებული ხდები მიატოვო ადამიანი. მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს: დაეხმარო მშობლებს მოხუცებულობაში, როგორებიც არ უნდა იყვნენ ისინი, ეს თითოეული ჩვენთაგანის წმინდათაწმინდა მოვალეობაა.

უკვე მესმის ოპონენტების გაღიზიანებული ხმა. ზედმეტ ლიბერალობას და მოკრძალებას ხომ არ იჩენს რედაქცია მათი მისამართით, ვინც ასე უდიერად ექცევა მშობლებს? ნუთუ ახლა, როცა ყოველდღე რადიოთი გვესმის საუბარი მოწყალებაზე, გაზეთებში კითხულობთ, როგორ ეხმარებიან დაზარალებულთ, ასეთი საძაგელი რამ ხდება ჩვენს ირგვლივ, უსახლკაროდ, მოუვლელნი დადიან მშობლები, ეს არავის ენაღვლება? დროა ქაღალდის მიღმა დაგვანახოთ ადამიანი. რატომ არ ასახელებთ გვარებს, განსაკუთრებით მათ გვარებს, ვისაც სამართალმა უნდა დააკისროს დედისათვის ალიმენტის გადახდა?

რატომ?

მხოლოდ და მხოლოდ ისევ იმ მოხუცებულების თხოვნას ვასრულებთ — შვილებს ნუ გაგვილანძღავთო. და მართლაც განა ბევრი დედა მოიძებნება, რომელსაც როდესმე უჩივლია შვილისათვის რატომ ალიმენტს არ მიხდიო, განა იოლია მოწყალება სთხოვო საკუთარ შვილს?

ეთიკოსებიც ხომ ამტკიცებენ: ჩვეულებრივ ფიზიკურ სასჯელზე მეტად ადამიანებს შერცხვენის ეშინიათ, რადგან სულისათვის ის უმაღლესი სასჯელიაო.

ვფიქრობთ, არავითარ სასჯელს არ უნდა მოეერიდოთ მათ მიმართ, ვისაც მოხუცი მშობელი ტვირთად დასწოლია.

საბავშვო ბაღიდან უნდა ვასწავლოთ ბავშვებს თანაცხოვრების ყველაზე მთავარი წესი: გეცოდებოდეს სუსტი, დაეხმარე გაჭირვებულს და ავადმყოფს, პატივი ეცი მოხუცებულს.

ჩემი ნება რომ იყოს, პირველი კლასიდანვე შემოვიღებდი ეთიკისა და სიკეთის გაკვეთილებს და გამოცდებსაც კი დავწესებდი, როგორც ყველაზე მნიშვნელოვან საგანში.

მარადი ანასაშვილი.

ქრონიკა-ფაქტები

ქართული კულტურის ცენტრი სოფიაში

ორიოდე თვის წინათ, ბულგარეთში ყოფნისას, ქალაქ გაბროვოს სასტუმროს მყუდრო ოლში მაგიდაზე დაწყობილი გაზეთებიდან ერთ-ერთზე შევაჩერე მზერა, დამაინტერესა მისმა მსხვილშრიფტიანმა სათაურმა „ქართული მიწა სოფიაში"

„როგორი იქნება სერდიკასა და მეფე სიმონის ქუჩების კუთხეში ასაგები კომპლექსი? ცხობილი ქართული სამზარეულოდან თანამედროვე მოდამდე. ცნობილ ავტორთა ნამუშევრების საგამოფენო დარბაზი", — ასეთი იყო მოკლე ანოტაცია წერილისა, რომელიც ქართველმა კაცმა სიხარულით, სიამაყით წავიკითხე სოფიის „საღამოს სიახლეების" ფურცლებზე.

ავტორი ტოდორ ლიპანოვი თანაქალაქელებს საინტერესოდ მოუთხრობდა ქართველთა უძველეს და უმდიდრეს ისტორიაზე, კულტურაზე, საქვეყნოდ სახელგანთქმულ ლაღიძის წყლებზე, ხაჭაპურსა და შოთ პურზე, უგემრიელეს ქართულ კერძებზე. შემდეგ მკითხველებს ცენტრის პროექტის ერთ-ერთი ავტორი ალექსანდრე ჯაფარიძე ესაუბრებოდა. წერილს სოფიის ცენტრში, მომავალი ქართული კულტურისა და დასვენების კომპლექსის მაკეტის ფოტოსურათიც ახლდა.

თბილისში დაბრუნებულმა ამ საერო საქმის წამომწყებნი და სულისჩამდგმელები გავიკითხე. ასე შედგა საქართველოს არქიტექტორთა კავშირში შეხვედრა და საქმიანი საუბარი სოფიის მომავალი კულტურის ცენტრის პროექტის ავტორებთან ალექსანდრე ჯაფარიძესა და თამაზ დალაქიშვილთან. მათს გარდა ავტორები არიან თამაზ ხელაია, ბექა გოცაძე და ირაკლი ვაჩეიშვილი. აღსანიშნავია, რომ პროექტი უკვე მზად არის. სოფიელ კოლეგებთან ერთად მუშავდება სამუშაო ნახაზები იქაური პირობებისა და ტექნოლოგიის გათვალისწინებით.

ალექსანდრე ჯაფარიძე: უწინარესად აღვნიშნავ, რომ საზღვარგარეთ ასეთი კულტურის ცენტრის შექმნა საბჭოთა რესპუბლიკებიდან პირველს საქართველოს ხვდა წილად. დასაბამი კი ამ საპირო ეროვნულ საქმეს თბილისში გამართულმა საერთაშორისო გამოფენამ „კურორტი-88"-ზე მისცა. მასში ბულგარეთიც მონაწილეობდა. სწორედ მაშინ დაიდო ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობაზე, რასაც თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე ბულგარული მაღაზიის გახსნა მოჰყვა. სანაცვლოდ, აზრი გამოთქვეთ, სოფიაში ქართული კულტურის ცენტრის შექმნაზე. მაღე საქმე ადგილიდან დაიძრა. სოფიაში ჩასულებს, ქალაქის ცენტრში მდებარე მყუდრო, ლამაზი ნაგებობა გვაჩვენეს. მოგვეწონა, თანხმობა განვაცხადეთ და მუშაობას შევუდექით.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ბულგარეთში ამ სიმბოლური „ქართული მიწის" — კულტურის ცენტრის გაჩენა ნაწილობრივ ადგილობრივ ლომი, ნაწილობრივ ადგილობრივ ბიზნესმენებმა, მაგ. ბრდილ სარეულს. საგამოფენო დარბაზები, რომლებშიც გამოფენილ მშვენიერ ნიმუშებს ეცნობიან ჩვენ-ოზეიის ზეცალგანმანლები.

არქიტექტორებმა არც სოფიაში ჩასული თანამემამულეები დაივიწყეს: ცენტრში მათთვის მცირე აპარტამენტები მოეწყობა. ისე რომ, ქართველები მათლაც შინ ქართულ მიწაზე იგრძნობენ თავს.

აპრილის დასაწყისში ბულგარელები თავიანთ ეროვნულ დღესასწაულს აღნიშნავენ ხოლმე. გაისად, სწორედ ამ დროისთვის არის გათვალისწინებული ქართული კულტურის ცენტრის გახსნა, რასაც დიდი ინტერესით ელოდებიან სოფიის საზოგადოებრიობა და ქართველობა. ეს მოვლენა იმ სარგებლიანი ურთიერთობის სიმბოლური, ოლიგეკური გაგრძელება იქნება, შორეულ წარსულში რომ არსებობდა ჩვენს ქვეყნებს შორის. ბულგარეთის უმშვენიერეს მთიანეთში მაშინდელ „ქართულ მიწაზე" აგებულ პეტრიწონის მონასტერში ნიკ ძალუმად ჩქეფდა ქართველთა ცოცხალი და დღესაც სიმაყეს მოწიწებით ვადგამთ ფეხს წმ. პართაგან გამშობლიურებულ. თქოს მართლაც მშობლიურ მიწას. ახლა ბულგარეთში ერთი მცირე მონაკვეთი გაჩნდება ქართული მიწისა, რომლის ადგილსამყოფელია — სოფია, სერგიკასა და მეფე სიმონის ქუჩების კუთხე.

ბელა ჯიღაური.

• • •

სურათზე: ქართული კულტურის ცენტრის მაკეტი.

თანამშრომლობა

ავენისი—სოჭაგუკის ქალაქი

არაგვის ხეობაში — ანანურის მახლობლად იყო ძველი ქართული სოფელი — ავენისი. ჭირდა მიგდებულ სოფელში ცხოვრება, ამიტომაც მიატოვეს იგი მისმა მკვიდრებმა. გაჩანაგდა ირგვლივ ყოველივე.

ვინ იფიქრებდა თუნდაც ორიოდე წლის წინათ, რომ ავენისის ბედი წალმა შეტრიალდებოდა.

ქართველი და ამერიკელი ხუროთმოძღვრები, არქიტექტორები, დიზაინერები და პედაგოგები ახლა ერთობლივი ძალისხმევით ქმნიან ავენისის საინტერესო პროექტს. აქ 13,5 ჰექტარ ფართობზე განლაგდება ბავშვთა საერთაშორისო ბანაკი. მან უკვე მიიღო სახელწოდება: „ავენისი — XXI საუკუნის დასახლება". მისი პატრონები საბჭოთა და ამერიკელი მოსწავლეები იქნებიან.

ავენისის სასწავლო-შემეცნებითი ცენტრის შექმნის იდეა ეკუთვნის „უბირთვო მსოფლიოსა და კაცობრიობის გადარჩენის" საბჭოთა ფონდს და აშშ-ის კვლევით ინსტიტუტს „როკი მაუნთინქუოლს", რომელიც კოლორადოს შტატის ქ. ასპენში მდებარეობს. ქართველი და ამერიკელი ხუროთმოძღვრების, დიზაინერებისა და პედაგოგების ერთობლივად შემუშავებულ პროექტს „გრანპრი" მიენიჭა ჩვენს დედაქალაქში გამართულ არქიტექტორთა პირველ საერთაშორისო ბიენალეზე.

ახალგაზრდული საერთაშორისო ქალაქი მეცნიერებისა და ფანტაზიის, ტექნიკისა და თავშესაქცევის, უმაცრესი ეკონომიკური გაანგარიშების სინთეზია. იგი მომხიბლავად შეერწყმის XVII საუკუნის უნიკალურ ძეგლს — ანანურის ტაძარს. ქალაქს ექნება 13 კოტეჯი, თითოეულში იცხოვრებს 14-16 მოსწავლე. ყველა კოტეჯი მზის ენერგიით გათბება. ქალაქი იყოფა ექვს ზონად: საცხოვრებელ, სასწავლო, ეთნოგრაფიულ, ფიზიკულტურულ-სპორტულ, სასოფლო-სამეურნეო და სარეკრეაციო ზონებად. საცხოვრებელ ზონას აქვს ღია ტერასები ცალკეული სახლების მიხედვით, თავისი მიწის ნაკვეთები, სადაც მოსწავლეები შექმნიან ორანჟერეებს, გაამენებენ სკვერებსა და ბაღებს.

სასწავლო ზონაში კი საინფორმაციო ცენტრი განლაგდება. აქ იქნება დიდი კომპიუტერული დარბაზი, ნავარაუდევია ყველა შენობაში წარმოსახონ ქართული კერძოდ, მთიელური სოფლის ეთნოგრაფიული ხასიათი და ყოფა.

მთავარია ის, რომ ამ ფანტასტიკურ ქალაქში ერთად იცხოვრებენ ქართველი და ამერიკელი ბავშვები. სამი-ოთხი კვირის მანძილზე, რომელსაც ბავშვები ქართველი ბუნების წიაღში ერთ ჭერქვეშ გაატარებენ, გაიმართება ღია ფოტუმები, დისკუსიები, გალა-კონცერტები, დადგამენ ახალგაზრდულ სპექტაკლებს.

— მტკიცე სძირკველი ჩაეყარება მათს მეგობრობასა და ურთიერთგაგებას, ერთად გაიაზრებენ ჩვენი ხალხების ისტორიულ-კულტურულ ღონისძიებებს. ყველაფერი გაკეთდება, რათა ახალგაზრდობა უკეთ უგებდეს ერთმანეთს, მომავალში არ გაიმეორონ ის შეცდომები, რომლებიც ჩვენი ქვეყნების წინა თაობებს მოსდიოდათ, იყვნენ ამაყნი, შეუდრეკელნი და თავისუფალნი, — განაცხადა ამერიკის „როკი მაუნთინქუოლის" კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ემორი ბ. ლოვინსმა, საქართველო-ამერიკის ერთობლივი ახალგაზრდული ქალაქის შექმნის ხელშეკრულებაზე რომ აწერდა ხელს.

უკვე წლეულს, საზაფხულო კომპიუტერულ სკოლაში შეკრებილი საბჭოთა და ამერიკელი მოსწავლეები ენერგიულ მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდული ქალაქის მშენებლობაში. დუშეთის რაიონის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გადაწყვიტეს ითავონ მშენებლობის შეფობა, მაგრამ იმედია, შეფი მთელი საქართველოს კომკავშირი იქნება.

დავით ბიწაძე,
„კომუნისტის" სპ. კორ.

ახალგაზრდა მუსიკოსთა გამარჯვება

ვილნიუსიდან თბილისში ლიტველი კომპოზიტორისა და დირიჟორის ბალის ავარიონისის სახელობის პირველი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატების დიპლომებით დაბრუნდნენ ლუბა ბათიაშვილი და მარინე ნადირაძე. ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სპეციალური საშუალო მუსიკალური სკოლის მეხუთეკლასელებმა ჟიურისა და სპეციალისტების უურადღება მიიპყრეს გულში ჩამწვდომი შესრულებით, ვიოლინოსა და ფორტეპიანოს შთამბეჭდავი ეფექტურობით. ვილნიუსის კონკურსი პირველი საერთაშორისო შეჯიბრება იყო ახალგაზრდა მუსიკოსებისათვის.

ნათია ფულაძე.

სალხინ-მოლის ბრძოლების მონაწილეთა საყურადღებოდ

ამიდინარე წლის აგვისტოში სრულდება მდინარე ხალხინ-გოლზე იაპონელი მილიტარისტების განადგურების 50 წლისთავი.

ამ თარიღს საზეიმოდ აღნიშნავენ საბჭოთა ხალხი, მომმე მონღოლეთი, მთელი პროგრესული საზოგადოებრიობა.

აღნიშნული ბრძოლების მონაწილეებს ვთხოვთ აღრიცხვისათვის გამოცხადდნენ საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის სექციაში ა/წ 25 ივნისამდე, ხოლო რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ბრძოლის მონაწილეებმა წერილობით გვაცნობონ.

ჩვენი მისამართი: ქ. თბილისი, გულიას ქუჩა №3 ა, დასაფის ცენტრალური კომიტეტი, ტელეფონი 72-50-10.

ომის ვეტერანთა საბჭოთა კომიტეტის თბილისის სექცია.



ზაფხულია, ცხელა, ცხელა...

ბული ასდის ქალაქს. გრილი და უამინდო გაზაფხულის შემდეგ იძალა ივნისმა და თაკარა დაანთო ქუჩებში.

არდადეგებმა გოგო-ბიჭებისგან დაცალა თბილისი. ვინ სოფელს მიაშურა პაპა-ბებიის გულგასახარად, ვინ — პიონერთა ბანაკს. ფეხქვეშ მოიდებენ მთა-ბარს, რაც მთავარია, ღრმად შეიცნობენ სამშობლოს, მისი მშვენიერებით დატკბებიან, უფროსებს საქმეშიც შეეშველებიან და თვალნათლივ შეეგრძნობენ, რომ სამშობლო მხოლოდ ლამაზი ბუნება კი არა, პირველ ყოვლისა ერის სახიკეთოდ შრომაა.

დედაქალაქში დარჩენილი ინავრები პარკებსა და სკვერებს, თბილისის ზღვის, ლისისა და კუს ტბების შემოგარენს მოედნენ. უფრო გატკბა ნაყინი. აბა, ამ ეშმაკსფეხს შეხედეთ — ერთ ულუფას როდი სჯერდება, მეორე ჭიქაც მოუმარაგებია და ნეტარებით შეექცევა.

მზის დასამხრეებამდე არ წყდება ურიამული ლისის ტბაზე. მხოლოდ შებინდებისას ცარიელდება ხოლმე მისი სანაპირო.

ამ მურაისაც აწუხებს ზაფხულის ხვატი. თავსატეხი გასჩენია — როგორ გავგრილდეო, ფიქრობს.

ბაღრი ვალაბაკორიას ფოტო.

სატურნირო ორბიტა

● **თანამედროვე ხუთეული.** შვეიცის ქალაქ უმეონში დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატში წარმატებით იასპარეზა თბილისელმა ხუთეულმა, სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა ვახტანგ იაგორაშვილმა. მან პირად ჩათვლაში 5185 ქულა მოაგროვა და ოქროს მედალი მოიპოვა (სროლა — 1090, ფარიკაობა — 918, ცურვა — 1380, კროსი — 937, კონკური — 860). მეორე ადგილზე გავიდა უნგრელი ლასლო ფაბიანი — 5164, მესამეზე — შვედი პერ ნუკვისტი— 5068.

● **ფეხბურთი.** თბილისის „დინამოსა" და დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" გუშინწინდელ მატჩში, როგორც იცით, მასპინძლებმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს — 2:0. პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა. ანგარიში 59-ე წუთზე გახსნა მოედანზე ახალშემოსულმა ყიზილაშვილმა, 84-ე წუთზე კი თავური დარტყმით მეორე გოლი გაიტანა კაჭარავამ. „დინამომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია, ჩიქოვანი, ცხადაძე, ჭედია, ჯიშკარიანი, თეთრაძე (აფციაური), სვანაძე, ცვეიბა, ქეცბაია (ყიზილაშვილი), კაჭარავა, გოგიჩაიშვილი.

ტურის სხვა მატჩები: მოსკოვის „სპარტაკი" — მოსკოვის „დინამო" — 1:1 (0:1), ვილნიუსის „უალგირისი" — მოსკოვის „ტორპედო" — 1:1. (0:1), მინსკის „დინამო" — ვოლგოგრადის „როტორი" — 2:0 (1:0), კიევის „დინამო" — ხარკოვის „მეტალისტი"— 1:0 (1:0), ერევნის „არარატი" — დუშანბეს „პამირი" — 2:2 (1:1), დონეცკის „შახტიორი" — ოდესის „ჩერნომორეცი" — 2:1 (1:0).

15 ტურის შემდეგ 24 ქულით კვლავ მოსკოვის სპარტაკელები ლიდერობენ. 21 ქულით მეორე ადგილზე გადაინაცვლა „ტორპედომ", მესამე ადგილზე არიან დნეპროპეტროვსკელები — 20 ქულა.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით ყველგან, დღისით ზოგან ხანმოკლე წვიმა, დასავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში.

ტემპერატურა — ბარში 24-29, მთაში 24-29, მაღალმთიანეთში 18-23 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა და ჭექა-ქუხილი, შესაძლებელია სეტყვა, დასავლეთის ქარი 9-14, ზოგან კი 17-22 მეტრი წამში.

ტემპერატურა — ბარში 25-30, მთაში 22-27, მაღალმთიანეთში 17-22 გრადუსი.

თბილისში — ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ჩრდილო-დასავლეთის ქარი 9-14, ქალაქის გარეუბნებში 17-22 მეტრი წამში;

ტემპერატურა — 27-29 გრადუსი სითბო.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

ტელევიზია — ოთხშაბათი, 21 ივნისი

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — მათემატიკის ტელეკურსი. 14.20 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა" — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „გონიერი საგნები". II სერია. მულტიპლიკაციური ფილმი. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.30 — შვეისწავლოთ გერმანული ენა. 17.00 — მოსწავლეთათვის. ჩვენი ჯაზ-კლუბი (განმეორებით). 18.00 — ჯადოსნური ეკრანი. 18.25 — გარდაქმნის წახნაგები. მეგობრების გამოცდილება. 19.10 — ერთი დღე აბაშაში. 20.00 — მოამბე. 20.35 — აქტუალური ეკრანი. საფინანსო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. 21.20 — დაბრუნებული სახელები. ს. ჯუდელი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — ქართული მხატვრული ფილმი „დიმიტრი II". I სერია.

მეორე პროგრამა. 9.35 — ქართული მხატვრული ფილმი „გაზაფხული გადის". 10.45 — ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი ფიზიკაში. 11.30 — კინოჟურნალი „ერალაში". 11.40 — მათემატიკის გაკვეთილი. 12.25 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — მათემატიკის ტელეკურსი. 14.20 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა" — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „გონიერი საგნები" II სერია. მულტიპლიკაციური ფილმი. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.30 — შვეისწავლოთ გერმანული ენა. 17.00 — მოსწავლეთათვის. ჩვენი ჯაზ-კლუბი (განმეორებით). 18.00 — ჯადოსნური ეკრანი. 18.25 — გარდაქმნის წახნაგები. მეგობრების გამოცდილება. 19.10 — ერთი დღე აბაშაში. 20.00 — მოამბე. 20.35 — აქტუალური ეკრანი. საფინანსო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. 21.20 — დაბრუნებული სახელები. ს. ჯუდელი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — ქართული მხატვრული ფილმი „დიმიტრი II". I სერია.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — მულტფილმები. 10.05 — „ცისარტყელა" (პოლონეთი). 10.40 — მოგზაურთა კლუბი. 16.35 — მხატვრული ფილმი „იო-ხო-ხო". 17.55 — მუსიკალური საგანძური. დ. შოსტაკოვიჩი. № 5 სიმფონია რე მინორი. 18.45 — „საქმიანი ადამიანების შეხვედრა". მეორე გადაცემა. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ფილოსოფიური საუბრები. 21.00; 22.40 და 23.55 — ლიტერატურულ-მხატვრული ვიდეოარხი. 22.00 — „ვრემია". 23.40 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სცენის ოსტატები. დოკუმენტური ფილმი „იგორ გორბაჩოვი". 10.15 — გერმანული ენა. 10.45 — უკრავს ი. კორჩინსკი (ვიოლინო). 11.00 — „გააკეთე ჩვენთან ერთად, გააკეთე ჩვენსავით, გააკეთე ჩვენზე უკეთ". გადაცემა გდრ-დან. 12.00 და 14.00 — ახალი ამბები. 12.10 — მხატვრული ტელეფილმი „ალისფერი სამხრეულები". III სერია. 13.15 — მულტფილმი. 13.30 — გერმანული ენა. 14.10 — მხატვრული ფილმი „არსრულწლოვანება". 15.30 — დოკუმენტური ფილმი „თადარიგში". 18.00 — ახალი ამბები. 18.10 — მოკავშირე რესპუბლიკების სტუდიათა ფილმები. „ურუზმაგის დაბრუნება". 19.20 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". გადაცემის დამატება. 20.05 — „დროებისა და საკუთარი თავის შესახებ". დ. ბედნი. 20.20 და 21.15 — კალათბურთი. პოლანდიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.55 — რეკლამა. 22.00 — „ვრემია". 22.40 — ბალეტის მსახიობთა მოსკოვის VI საერთაშორისო კონკურსი. მესამე ტური. 0.10 — ახალი ამბები.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 60434 უე 07190 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოუსეტური წესით. სააგენტო კორაუსი, ოქტომბრის 20 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14